პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 7 (7983) | შაბათი, 9 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერშია:

მაო ძე-დუნის დეპეშა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიულ კონფერენციებზე (მე-2 გვერდი).
მოსკოველ არქიტექტორთა პროექტების მიხედვით (მე-2 გვერდი).
**პრესის მიმოხილვა.** — გაზეთი და სოფლის პარტიული ორგანიზაციები (მე-2 გვერდი).
კომუნიკე საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ (მე-2 გვერდი).
**საბჭოთა მშენებლობა.** — რაისაბჭოს [illegible] ნიზატორები (მე-3 გვერდი).
**ა. ბურთიკაშვილი.** — „თოლია" [illegible] ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმში [illegible].
**წერილები რედაქციას.** — ერთხელ კიდევ ერთი აუცილებელი საკითხის შესახებ. შეუსრულებელი გადაწყვეტილება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## განვავითაროთ ცხოველი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით ძლიერია ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი. მიმდინარე წელს 5 მილიონზე მეტი კაცი მეცადინეობს პარტიული განათლების სისტემაში. 4 მილიონამდე ჭაბუკი და ქალიშვილი კომკავშირულ წრეებსა და პოლიტსკოლებში სწავლობს რევოლუციურ თეორიას.

მაგრამ ყოველთვის ახერხებენ პროპაგანდისტები დააკმაყოფილონ მსმენელთა ცხოველი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი, განუწყვეტლივ განავითარონ იგი, გააძლიერონ მისწრაფება მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი? სრულიადაც არა. მთავარი მიზეზი იმისა, რომ პროპაგანდისტული მუშაობის დაყენება ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში ვერ აკმაყოფილებს კომუნისტების მზარდ მოთხოვნილებას, ის არის, რომ ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მედავითნური, დოგმატური მიდგომა თეორიის შესწავლისადმი.

პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს შეიგნონ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათი, ღრმად შეითვისონ არა ცალკეული ფორმულირებანი და ციტატები, არამედ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე, მსოფლიოს გარდამქმნელი რევოლუციური მოძღვრების არსი. მაგრამ ლექციებში, წრეებისა და სემინარების მეცადინეობაზე თეორიული დებულებანი ხშირად გადმოცემულია განყენებულად, მოწყვეტილია კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, პრაქტიკას, დაკავშირებული არ არის პოლიტიკურ ამოცანებთან, რომლებსაც კომუნისტური პარტია თანამედროვე ეტაპზე წყვეტს.

ზოგიერთი პროპაგანდისტი, ნაცვლად იმისა, რომ განმარტოს თეორიული საკითხები, დაარწმუნოს მსმენელი, დაუმტკიცოს, მხოლოდ აცხადებს ამა თუ იმ ფორმულებს, საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა დეკლარირებით ამოწურავს კადრების იდეოლოგიური აღზრდის რთულ, ძნელ მუშაობას. ჩვეულებრივ ასეთი პროპაგანდისტები იმდენად იმისათვის კი არ ზრუნავენ, რომ მათმა მსმენელებმა ღრმად შეითვისონ შესასწავლი მასალა, დაეუფლონ რევოლუციური თეორიის იდეებს, რამდენადაც იმისათვის, რომ დაიხსომონ, თითქმის დაიზეპირონ თარიღები, ფაქტები ან ცალკეული ფორმულები.

გლადიშევის სახელობის ფაბრიკაში (ულიანოვსკის ოლქი) ფილოსოფიის წრის პროპაგანდისტი ამხ. შჩერბაკოვი ნაცვლად იმისა, რომ გადასცეს მსმენელთ თემის არსი, გამართოს ცოცხალი გაშლილი საუბარი და მოაწყოს მსმენელთა აზრების გაცვლა თეორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ციტატების დაუსრულებელ კითხვას ანდომებს მეცადინეობას. ერთ-ერთი მეცადინეობის დროს თემაზე „მოძრაობა და განვითარება ბუნებასა და საზოგადოებაში" იგი საათზე მეტ ხანს კითხულობდა მარქსიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა ცალკეულ ნაწყვეტებს. შესვენების შემდეგ მან წაიკითხა კიდევ რამდენიმე ციტატი, დაუსახელა მსმენელთ დამოუკიდებლად წასაკითხავი ლიტერატურა და ამით დაამთავრა მეცადინეობა.

ხშირად პროპაგანდისტები ცოცხალ მსჯელობას მსმენელთა გამარტივებული გამოკითხვით ცვლიან. როცა ოდესის სამედიცინო მოწყობილობის ქარხანაში წრის ერთ-ერთმა მონაწილემ ითხოვა უფრო დაწვრილებით გაეშუქებინათ მისთვის გაურკვეველი საკითხი, პროპაგანდისტმა უპასუხა, კითხვის მიცემა ხელმძღვანელის საქმეა, მსმენელებმა კი კითხვებზე უნდა უპასუხონო.

რასაკვირველია, იქ, სადაც პარტიული პროპაგანდის ცოცხალი საქმე მზამზარეულ დებულებათა დაზეპირებად გადაქცეულა, ძნელია იმის იმედი ვიქონიოთ, რომ მსმენელებს განუვითარონ ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი. ასეთი მეცადინეობა ფორმალიზმსა და სქოლასტიკობას ამრავლებს.

ამ უკანასკნელ ხანს ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ გააძლიერა ბრძოლა დოგმატიზმისა და მედავითნეობის წინააღმდეგ. მაგრამ ხშირად ამის თაობაზე ჯერ კიდევ წარმოთქვამენ ზოგად სიტყვებს და არ ხდება კონკრეტული ლექციების, საუბრების გარჩევა იმ მიზნით, რომ ცოცხალი მაგალითებით ცხადყონ, თუ რით გამოიხატება მედავითნეობა, და ამით ხელი შეუწყონ პროპაგანდისტებს შემოქმედებითად აწარმოონ თავიანთი მუშაობა. როცა პარტიულ ორგანიზაციებში განიხილავენ პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებს, როცა არჩევენ წრეების ხელმძღვანელების მიერ გამართულ საუბრებს, ჩვეულებრივ საქმე იმით ამოიწურება, რომ განიხილავენ, სწორად იყო თუ არა გადაცემული მასალა, შეცდომა ხომ არ დაუშვიათ. ხოლო შემოქმედებითი იყო თუ არა მეცადინეობა, გაუღვიძა თუ არა მან აზრი მსმენელებს, ხელი შეუწყო თუ არა მათ უფრო ღრმად შეეგნოთ პარტიის თანამედროვე ამოცანები, უკეთ გაეაზრებინათ თავიანთი პრაქტიკული მუშაობა, ეს ხშირად გაურკვეველი რჩება.

განუხრელად რომ ავამაღლოთ პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის იდეური დონე, სულ უფრო ცოცხალი და საინტერესო რომ გავხადოთ ეს მეცადინეობა, უნდა ვაწარმოოთ დოგმატიზმის წინააღმდეგ არა განყენებული, არამედ საგნობრივი ბრძოლა, კონკრეტული ნიმუშებითა და მაგალითებით ვუჩვენოთ პროპაგანდისტებს, თუ როგორ უნდა მიუდგნენ შემოქმედებითად თეორიის შესწავლას.

პროპაგანდისტულ მუშაობაში უმნიშვნელოვანესი სახელმძღვანელო უნდა იყოს ამას წინათ ორ ტომად გამოცემული წიგნი — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში". პარტიის გადაწყვეტილებებში გამოხატულია პარტიის კოლექტიური სიბრძნე. ამ დოკუმენტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად შევიგნოთ, თუ როგორ ახორციელებს პარტია, შემოქმედებითად ხელმძღვანელობს რა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, თავის პოლიტიკას კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით. პარტიის გადაწყვეტილებანი თვალნათლივ გვიჩვენებენ თეორიისა და პრაქტიკის კავშირს, ისინი კომუნისტებს ასწავლიან მიმდინარე პრაქტიკული საქმეები დაუკავშირონ პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანებს, პარტიის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

პარტიული განათლების სისტემაში დიდი ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მასალების შესწავლისადმი მიძღვნილმა მეცადინეობებმა. განსაკუთრებით აქტიური და საგულისხმო იყო იმ პროპაგანდისტების საუბრები, რომლებმაც შეძლეს განსახილველად წამოეყენებინათ ისეთი საკითხები, რომლებიც მსმენელთაგან მოითხოვდნენ არა წაკითხულის უბრალო გადმოცემას, არამედ დამოუკიდებელ აზროვნებას, უშუალოდ ცხოვრების მასალის გამოყენებას.

მაგრამ ყველა წრესა და პოლიტსკოლაში მეცადინეობა სათანადო დონეზე როდი ეწყობა. პროპაგანდისტები, რომელნიც დაუფლებული არ არიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხების გადმოცემის შემოქმედებითს მეთოდს, მშრალად და განყენებულად აწყობენ მეცადინეობას. ბარანოვიჩის ოლქის ზოგიერთ წრეში მსმენელებს იმდენი ციფრობრივი მასალა გადასცეს, რომ ისინი პირდაპირ ვერ ახერხებდნენ ამ მასალის გააზრებას, ამასთან ფაქტიურ მასალას აწვდიდნენ თავისთავად ისე, რომ არ ახდენდნენ საჭირო განზოგადებას და არ აკეთებდნენ დასკვნებს პრაქტიკული მუშაობისათვის.

ამგვარი ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ პარტიული ორგანიზაციები სუსტად ეხმარებიან პროპაგანდისტებს, სათანადო ხელმძღვანელობა არ ეწევა იდეოლოგიური მუშაობის შინაარსს.

წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა დახმარების ძირითადი ფორმაა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული პროპაგანდისტთა სემინარები. ამ სემინარების მუშაობის ხასიათზე ბევრად არის დამოკიდებული პროპაგანდისტების მიერ მოწყობილი მეცადინეობის ხარისხიც. მაგრამ ბევრ შემთხვევაში სემინარები ჯერ კიდევ არ გამხდარა მედავითნეობისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილი ცენტრი. ხშირად საქმე იმით ამოიწურება, რომ პროპაგანდისტებს უკითხავენ ლექციას, სადაც გადმოცემულია მომავალი მეცადინეობის შინაარსი, შემდეგ კი მას აძლევენ სტანდარტულ კითხვარს, რომლითაც ურჩევენ მოაწყოს საუბარი. სემინარების ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ამრავლებს დოგმატიზმს, არ აღუძრავს პროპაგანდისტს სურვილს შემოქმედებითად მოეკიდოს თავის მუშაობას. ისეც ხდება, რომ სემინარი პირდაპირ არასწორ ორიენტაციას აძლევს პროპაგანდისტებს, აყენებს მათ მეცადინეობის კითხვა-პასუხის მეთოდისა და სქოლარობის გზაზე.

პარტიის ქალაქ რიგის მოლოტოვის რაიკომის სემინარზე იყო შემთხვევები, როცა პროპაგანდისტებს მისცეს თემის საკვანძო საკითხების ორმოცდაათამდე „ქვესაკითხი". ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რად გადაიქცეოდა მეცადინეობა წრეებში, ამ წრეების ხელმძღვანელებს სემინარზე მიღებული რჩევა-დარიგება რომ დაეჯერებინათ.

სემინარმა უნდა გაუფართოოს წრეების ხელმძღვანელებს თეორიული ჰორიზონტი უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, მათი მთავარი ყურადღება მიაპყროს თემის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ასწავლოს მათ ცოცხლად, საინტერესოდ მოაწყონ მეცადინეობა, მჭიდროდ დაუკავშირონ მეცადინეობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს. მაგრამ სემინარი ვერ შეცვლის და არც უნდა შეცვალოს პროპაგანდისტის დამოუკიდებელი მომზადება მეცადინეობისათვის. საჭიროა, რომ სემინარებზე გაჩაღდეს თეორიული საკითხების შემოქმედებითი განხილვა, ხდებოდეს აზრებისა და გამოცდილების თავისუფალი ამხანაგური გაზიარება. სემინარმა პროპაგანდისტებს უნდა განუვითაროს ინტერესი მათი კეთილშობილური საქმისადმი. ძნელია იმედი ვიქონიოთ, რომ წრეებში მეცადინეობა აქტიურად და ცოცხლად მოეწყობა, თუ თვითონ ხელმძღვანელი უინტერესოდ, უხალისოდ მუშაობს, ეშინია ასცდეს წიგნის ტექსტს და ამჯობინებს მექანიკურად გაიმეოროს წაკითხული, ვიდრე შემოქმედებითად გადასცეს იგი.

საჭიროა, რომ სემინარის მთელმა ხასიათმა პროპაგანდისტს აღუძრას სურვილი — ილაპარაკოს თავისუფლად, თავისი, ინდივიდუალური ენით, გაიმდიდროს ლექსიკონი. გამოსვლის მეცნიერული სიზუსტისათვის ბრძოლას საერთო არა აქვს რა ენის გაშაბლონებასთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მშრალი, ღარიბი ენა, რომლითაც ზოგიერთი პროპაგანდისტი თავის მსმენელებს ესაუბრება, უსიცოცხლოს, უინტერესოს ხდის მეცადინეობას. პროპაგანდისტებს უნდა შეეძლოთ განავითარონ წრეებისა და პოლიტსკოლების მონაწილეთა აქტივობა, ჩააბან ისინი საკითხთა განხილვაში.

ყველა პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა განავითარონ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის ცხოველი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ პარტიული კომიტეტი ხედავს, რომ მეცადინეობას ხალხი ნაკლებად ესწრება, იგი ვერ დასჯერდება მარტო ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს, როგორც ცხოვრებაში ხშირად ხდება ხოლმე, არამედ იგი ღრმად უნდა ჩასწვდეს მეცადინეობის შინაარსს, მიაღწიოს მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას.

მარქსისტულ-ლენინური იდეები შემოქმედებითი იდეებია. მათ უდიდესი მამობილიზებელი ძალა აქვთ, აღაფრთოვანებენ მშრომელთ კომუნიზმისათვის საბრძოლველად. პარტიული პროპაგანდის ამოცანა სწორედ ის არის, რომ შეაიარაღებს რა ამ იდეებით კომუნისტებს, გააძლიეროს მათი მოწინავე როლი ცხოვრების ყველა დარგში, განავითაროს მათი აქტივობა და ინიციატივა კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

„პრავდის" 8-1 მოწინავე.

### უნგრულ ენაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა VI ტომი

ბუდაპეშტი, 7 იანვარი. (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა „სიკრამ" უნგრულ ენაზე გამოსცა ვ. ი. ლენინის თხზულებათა VI ტომი.

### დ ე პ ე შ ა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდ მადლობას გიძღვნით მილოცვისათვის ჩემი დაბადების წლისთავის გამო.

ნება მიბოძეთ ვისურვო, რომ საბჭოთა ხალხმა საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წარმატებანი მოიპოვოს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

**მაო ძე-დუნი**

1954 წლის 4 იანვარი.
პეკინი.

## ჩვენს დიად სამშობლოში



**ოდესა.** წიგნის ფაბრიკამ დაიწყო სტალინური პრემიის ლაურეატის ნ. რიბაკის თხზულების „პერეიასლავის რადის" პირველი და მეორე ნაწილის ბეჭდვა. უკვე დაბეჭდილია პირველი ნაწილის 16 ათასი წიგნი. **სურათზე:** ფაბრიკის ერთ-ერთი საუკეთესო კონტროლიორი ვ. გუბერმანი ამოწმებს მზა წიგნებს.

ფოტო ა. პოდბერეზსკისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

### კოლმეურნეობათა ელექტროფიკაცია

აკმოლინსკი, 4 იანვარი. (საკდესი). ერკენშილიკსკის რაიონის კოლმეურნეობა „ავანგარდში" გუშინ მწყობრში ჩადგა თბოელექტროსადგური. ეს ოლქში პირველი საკოლმეურნეო სადგურია, რომელმაც დენი მისცა 1954 წელს. ელექტროგადამცემი ხაზები გაყვანილია საკოლმეურნეო წარმოების ბევრ უბანში — პირუტყვის ბინებში, წისქვილში, თესლის საწყობებში.

გასულ წელს ოლქის კოლმეურნეობათა ენერგეტიკული ბაზა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. საკოლმეურნეო ფერმებში მუშაობს ათობით სატუმბავი დანადგარი, რომლებიც წყალს ტუმბავენ ჭებიდან; ელექტრომოტორები ამოძრავებენ მარცვალსაწმენდ მანქანებსა და ჩარხებს.

დაიწყო ადგილობრივი სათბობით მომუშავე სადგურების მშენებლობა აკმოლინსკის რაიონის სტალინის სახელობისა და ვიშნევკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში. მიმდინარეობს მზადება მთელი რიგი სოფლების სახელმწიფო ელექტროსადგურების მშენებლობისათვის.

ოლქის კოლმეურნეობებმა და მტს-ებმა მიიღეს ახალი კონსტრუქციის მოძრავი ელექტროძალოვანი სადგურების პირველი პარტია.



**ხარკოვი.** ხარკოვის სამგზავრო სადგურის რესტორანის წარმოების გამგემ ვ. მ. პავლოვმა წინადადება წამოაყენა შორი მანძილის მგზავრებს მომსახურება გაუწიონ უშუალოდ ვაგონებში. დამზადებულ იქნა პორტატიული კონტეინერები ცხელი კერძების დასატარებლად. ამის შედეგად რესტორანის მუშაკები ყოველდღე უწევენ მომსახურებას 600-მდე მგზავრს გამვლელი მატარებლების ვაგონებში.

ფოტო ხ. პრეობრაჟენსკისა
(საკდესის ფოტოქრონიკა).

### ათი ათასი მეტრი ქსოვილი გეგმის გადამეტებით

სტალინაბადი, 7 იანვარი. (საკდესი). სტალინაბადის საფეიქრო კომბინატის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი საწარმოო წელი. საქსოვი ფაბრიკის მუშაკებმა იანვრის ხუთ დღეში გეგმის გადამეტებით გამოიმუშავეს 10 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი. მაღალნაყოფიერად შრომობენ მქსოველები გალიაუტდინოვა, მაკაროვა, ბელოუდოვა.

კომბინატში გაჩაღდა შეჯიბრება საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენებისათვის. ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს წელს 20 პროცენტით გაადიდონ პროდუქციის მიღება საწარმოო ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე.

### მეტალურგების ღამის ჯანმრთელობის კერები

მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტში შეჯამებულია ღამის სანატორიუმების 1953 წლის საქმიანობის შედეგები.

ახლა მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებში მუშაობს 142 ასეთი ჯანმრთელობის კერა. წლის განმავლობაში ამ ჯანმრთელობის კერებში ისვენებდა და მკურნალობდა 50 ათასამდე მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი. მათ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ თვის განმავლობაში გაიარეს მკურნალობის სპეციალური კურსი. მეტალურგიულ საწარმოთა ღამის სანატორიუმებში ფართოდ იყენებენ მკურნალობის უახლეს მეთოდებს.

მეტალურგების ღამის ჯანმრთელობის კერების შესანახად 1954 წელს გაღებულია 24 მილიონ მანეთზე მეტი — 2 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე შარშან. (საკდესი).

### ახალი კონსტრუქციის სათესი მანქანები

კიროვოგრადი. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დასათესად ათეულ ათასობით სათესი მანქანა დაამზადა წელს ქარხანა „კრასნაია ზვეზდას" კოლექტივმა.

გამოშვებულია ახალი კონსტრუქციის მანქანების — ბოსტნეულის სათესი მანქანის „სონ-2,8" ახალი ნიმუშები. ინჟინრები და ტექნიკოსები ამთავრებენ კიდევ ერთი ბოსტნეულის დისკოიანი სათესი მანქანის — „სოდ-24" წარმოებაში დანერგვას.

ახალ წელს საწარმოები სოფლის მეურნეობისათვის გამოუშვებენ სხვადასხვა მარკის 60 მანქანას. (საკდესი).

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლის მშენებლობაზე ვარშავაში

ვარშავა. (საკდესი). სახელოვნად იშრომეს 1953 წელს ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და მეცნიერების სასახლის საბჭოთა მშენებლებმა ვარშავაში. დადგენილ ვადაზე თითქმის ორნახევარი თვით ადრე დაამთავრეს მშენებლებმა სასახლის მაღალი შენობის ფოლადის კონსტრუქციების მონტაჟი და დადგეს შპილი. ახლა მთავრდება სასახლის შენობების მოპირკეთება კერამიკული ფილებით. მთლიანად აშენებულია სხდომების უდიდესი დარბაზი და დამონტაჟებულია მისი გუმბათი. აშენებულია აგრეთვე გვერდის კორპუსები, სადაც ახლა მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დაიწყო სასახლის წინ მოედნის დაგეგმვის სამუშაოები.

შარშან სასახლის მშენებლებმა დაამონტაჟეს 16 ათასამდე ტონა ფოლადის კონსტრუქციები და დააგეს ათეულ ათასობით კვადრატული მეტრი კერამიკული ფილები.

### რუმინეთის ელექტროფიკაციის გეგმა ხორციელდება

ბუქარესტი. (საკდესი). დაახლოებით სამი წლის წინათ შევიდა ძალაში რუმინეთის ელექტროფიკაციის ათწლიანი გეგმა. ამ ხნის განმავლობაში რუმინეთის ელექტროფიკაციასა და ელექტროტექნიკური მრეწველობის განვითარებაში დიდი წარმატებებია მიღწეული. ახალი მოწყობილობის დადგმის მეოხებით დიდად გაიზარდა არსებული ელექტროსადგურების სიმძლავრე. მწყობრში ჩადგა ორი მძლავრი თბოელექტროსადგური და ერთი ჰიდროელექტროსადგური. დოიჩეშტის გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის თბოელექტროსადგური, რომელმაც პირველი დენი მისცა 1952 წელს, ენერგიას აწვდის ბუქარესტს, ქალაქ სტალინს, მდინარე პრახოვის ველის ნავთსარეწებს. დობრუჯაში 1952 წელს მწყობრში ჩადგა თბოელექტროსადგური ოვიდიუ II, რომლის სიმძლავრე აღემატება ამ რაიონის ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს.

სინჯორჯულ-დე-პედურში მოხდა საცდელი ამუშავება ახალი მძლავრი თბოელექტროსადგურისა, რომლის დანიშნულებაა ელექტროენერგიით უზრუნველყოს უნგრელთა ავტონომიური ოლქი.

გაჩაღებულია მუშაობა ბიკაზში ვ. ი. ლენინის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. რუმინეთის ეს უდიდესი ჰიდროელექტროსადგური წელიწადში გამოიმუშავებს 430 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

მცირე ჰიდრო და თბოელექტროსადგურების მშენებლობის მეოხებით წარმატებით ხორციელდება რუმინეთის სოფლების, კოლექტიური სასოფლო მეურნეობების, მტს-ების ელექტროფიკაცია. სამი წლის განმავლობაში რუმინეთში განხორციელდა იმდენი სოფლის ელექტროფიკაცია, რამდენისაც 60 წლის მანძილზე ძველი რეჟიმის დროს.

### ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის გეგმა

პრაღა, 7 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობამ 6 იანვარს მოიწონა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო გეგმა. გეგმა ითვალისწინებს დირექტივებს, რომლებსაც შეიცავს მთავრობის 1953 წლის 15 სექტემბრის განცხადება და ემყარება იმას, რომ საჭიროა განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს მშრომელთა ცხოვრების დონე წარმოების შემდგომი გაფართოების, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივ გაუმჯობესების საფუძველზე.

სახელმწიფო გეგმა განსახილველად წარედგინება ეროვნულ კრებას.

## რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის

### 1. კიეველი მწერლები დღესასწაულს

გაიმართა კიეველ მწერალთა თათბირი, მიძღვნილი უკრაინელი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულისადმი. მოხსენება გააკეთა უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მიკოლა ბაჟანმა.

მწერლებმა დ. კოსარიკმა, ი. სმოლიჩმა, დ. ტკაჩმა და სხვებმა თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს, თუ რა ახალ შემოქმედებით საჩუქრებს ამზადებენ ისტორიული თარიღისათვის, როგორ ეხმარებიან კომპოზიტორებს საბჭოთა ხალხების მეგობრობის თემაზე ახალი სიმღერების შექმნაში.

თათბირმა გადაწყვიტა გამოჰყოს მწერალთა ბრიგადები, რომლებიც რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში, შახტებში, მაღაროებში, სამრეწველო ცენტრებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამართავენ ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოებს, გასწევენ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მეგობრობის იდეების პოპულარიზაციას.

კიეველმა მწერლებმა შეიმუშავეს რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის მზადების პროგრამა. დეკადის მოწყობა გათვალისწინებულია კიევში სახალხო ზეიმის დღეებში.

### 2. 300 წლისთავის აღსანიშნავად

ყოველდღიურად სულ უფრო ფართოდ ჩაღდება უკრაინელი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. დნეპროპეტროვსკის პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა იკისრა წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი. დნეპროპეტროვსკელმა მეტალურგებმა იანვრის პირველ ოთხ დღეში ყველა მარტენის ღუმელზე განახორციელეს მხოლოდ ჩქაროსნული და ამასთან მძიმეწონიანი დნობა. შეჯიბრების პირველი დღეები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნეს მაკეევკელმა მეტალურგებმა. მათ იკისრეს იანვარში განახორციელონ მხოლოდ და მხოლოდ ჩქაროსნული დნობა.

დიადი თარიღის აღსანიშნავად ემზადებიან თეატრალური კოლექტივები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის თეატრის კოლექტივი დღესასწაულისათვის ამზადებს ი. ფრანკოს პიესას „თავად სვიატოსლავის სიზმარი". ეს პიესა საბჭოთა სცენაზე პირველად იდგმება.

კიევის გამომცემლობანი დღესასწაულისათვის გამოსცემენ საბჭოთა მწერლების ახალ ნაწარმოებთა სერიებს. გამოსაცემად მზადდება დიდი მეგობრობის კრებული, რომელშიც შევა რუსი, უკრაინელი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მწერლების რჩეული ნაწარმოებები. მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა გამოსაშვებად ამზადებს ა. ჭეიშვილის „ლელოს".

**დ. ლომთაძე,**
კიევი, „კომუნისტის" სპეც. კორ.

### მზადება ფოთში

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის საწარმო-დაწესებულებებში ფართოდ გაჩაღდა მზადება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად.

სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო დიდი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები ასახავენ რუსი და უკრაინელი ხალხის მეგობრობას. ყურადღებას იპყრობს საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეობათა, ნიკოპოლელ და ჭიათურელ მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრებისა და მათი მიღწევების ამსახველი დიაგრამები.

გამოფენები მოეწყო საქალაქო კომიტეტისა და ნავსადგურის პარტიულ ბიბლიოთეკებში, ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, სკოლებში იმართება რეფერატები და მოხსენებები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ლექტორები კითხულობენ ლექციებს თემებზე: „რუსი და უკრაინელი ხალხების დიადი მეგობრობა", „რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაულია", „მეგობრობის მოტივები თანამედროვე უკრაინულ და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში", „შევჩენკო და წერეთელი", „დავით გურამიშვილი უკრაინაში", „ლესია უკრაინკა საქართველოში" და სხვ.

კინოთეატრში პირველი იანვრიდან დაიწყო რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ცხოვრების ამსახველი კინოფილმების ჩვენება.

ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრი დასადგმელად ამზადებს უკრაინელი დრამატურგის ა. კორნეიჩუკის პიესას „პლატონ კრეჩეტს".

# პარტიულ კონფერენციებზე

## ჭიათურა

საქალაქო პარტიული ორგანიზაციის IX კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, გვიჩვენა, რომ ჭიათურელი მაღაროელები წარმატებით ასრულებენ მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების გეგმას. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა სამჯერ ზედიზედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის საუკეთესო მაღაროს წოდება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

მიუხედავად ამისა, მარგანეცის მრეწველობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ვოროშილოვის, ორჯონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროები ვერ ასრულებენ პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გეგმას, ზრდიან პროდუქციის თვითღირებულებას, რის გამო რამდენიმე ასეული ათასი მანეთი გადახარჯეს. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ საქალაქო კომიტეტი და ზოგიერთი პირველადი ორგანიზაცია სისტემატურად და საქმის ცოდნით ვერ განიხილავენ ეკონომიკის საკითხებს, ღრმად ვერ სწვდებიან მაღაროთა მუშაობას, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკის მაქსიმალურად გამოყენებას, რაციონალიზაცია-გამომგონებლობას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

დელეგატებმა ილაპარაკეს აგრეთვე ქალაქის კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ნაკლოვანებებზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოკამათეთა საგრძნობი ნაწილი თვითანგარიშით გამოვიდა. მათ თითქმის არაფერი უთქვამთ საქალაქო კომიტეტის საქმიანობაზე, არ გაუკრიტიკებიათ პარტიულ-ორგანიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის ნაკლოვანებანი.

ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმმა ქალაქკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. ხიდაშელი, მეორე მდივნად — ამხ. მ. ლაბაძე, მდივნად — ამხ. ა. ლაბუჩიძე. (ჩვენი საკ. კორ.).

## ტყვარჩელი

ტყვარჩელის VII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მომხსენებელმა — საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. სიხარულიძემ და კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა 10 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა, ხოლო ტყვარჩელშახტმშენის ტრესტის კოლექტივმა ორი თვით ადრე გაანაღდა 1953 წლის პროგრამა.

მაგრამ ქვანახშირის შახტებში ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს. ბევრ შახტში დაბალია საწარმოო კულტურა, სათანადოდ არ ზრუნავენ მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შესაქმნელად. არც ისე დიდი ხნის წინათ № 2 შახტი მოწინავე იყო, ამჟამად კი სამარცხვინოდ ჩამორჩება. შახტის კოლექტივი რამდენიმე თვეა ვერ ასრულებს გეგმას. შახტის ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დაბალი დონე, „იერიშობანა“, სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ჩაშლა, რის წინააღმდეგ საშახტო პარტიული ორგანიზაცია და ქალაქკომი სუსტად იბრძვიან.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ნაკლოვანებანი ქალაქის მრეწველობის მუშაობაში იმითაც აიხსნება, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტად იყენებს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, სათავეში არ უდგას სოციალისტურ შეჯიბრებას, ღრმად ვერ სწვდება საწარმოთა მუშაობის ყველა უბანს. პარტიის საქალაქო კომიტეტი და მისი მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება ზოგჯერ ზერელედ და არაკონკრეტულად ხელმძღვანელობენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ნაკლებად ავრცელებენ პარტიული მუშაობის გამოცდილებას.

ტყვარჩელის შახტებში, სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე უკანასკნელ ხანს შესუსტდა საagitაციო მუშაობა, იშვიათად ეწყობა ლექციები ხალხთა მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საკითხებზე. პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები და სხვა მუშაკები პოლიტიკური მოხსენებებით არ გამოდიან მეშახტეთა წინაშე. ასეთივე საყვედური გამოთქვეს დელეგატებმა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ.

შემდგა საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის ახლადარჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი. საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. დ. სიხარულიძე, მეორე მდივნად — ამხ. ქ. კარპოვი, მდივნად — ამხ. ო. ციკოლია. (ჩვენი საკ. კორ.).

## რუსთავის მეტალურგიული ქარხანა

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ დაბალი საწარმოო მაჩვენებლები იმითაც არის გამოწვეული, რომ დაბალია პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის დონე.

ქარხნის პარტიული კომიტეტი ვერ წარმართავდა კომუნისტების თაოსნობას, მუშათა ფართო მასების საქმიანობას წარმოების ეგრეთწოდებული „ვიწრო ადგილების“ აღმოსაფხვრელად, ვერ ამაღლებდა კომუნისტების ავანგარდულ როლს, მოწყვეტილი იყო პარტიულ და უპარტიო აქტივს. საანგარიშო პერიოდში ერთხელაც არ მოუწვევიათ პარტიული აქტივის კრება. პარტიული კომიტეტი იშვიათად ამოწმებდა მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობას. ამის გამო ბევრი კარგი დადგენილება ქაღალდზე დარჩა.

მილნამზადის, მილსაგლინავ საამქროებსა და ქარხნის საბინაო-კომუნალურ განყოფილებაში ხშირი იყო პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობის ჩაშლის, მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის შემთხვევები, ნაკლები ყურადღება ექცეოდა საagitაციო-მასობრივ მუშაობას. პარტიული კომიტეტი არ აწყობდა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარებს, აგიტკოლექტივების მუშაობა უმთავრესად თვითდინებაზე იყო მიშვებული.

კონფერენციამ აირჩია ქარხნის პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა. პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. მ. გოქსაძე, მდივნის მოადგილედ — ამხ. ა. ბუაძე. (ჩვენი საკ. კორ.).



აჭარის ასსრ. ჩაქვის შემფუთავი ქარხანა ყოველდღე რამდენიმე ვაგონ ციტრუსის ნაყოფს გზავნის მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. სურათზე: ლიმონის შეფუთვა. წინა პლანზეა მუშა ა. კრიუჩკოვა, რომელიც ცვლაში ერთნახევარ-ორ ნორმას ასრულებს.

ფოტო ვ. ბაბაიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## ქალაქი — სოფელს

### გომის მტს-ის შეფი

თბილისის ელექტროტექნიკური ქარხანა შეფობას უწევს ხაშურის რაიონის გომის მტს-ს. ქარხნის მთავარმა ინჟინერმა კ. ხელაძემ და პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ს. ხეთაგურმა ადგილზე შეამოწმეს, თუ რა ესაჭიროებოდა მტს-ს. ქარხანამ მტს-ს საჭირო რაოდენობით გაუგზავნა ქანჩები, ქანჯიკები, მოქლონები, ბურღები, სამჭედლოს ური, ელექტროდები ელექტროშედუღებისათვის, საწმენდი მასალა და სხვა ნაწილები და ინვენტარი, რაც დიდად დაეხმარა მტს-ს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთებაში. ქარხანამ მტს-ისათვის შეაკეთა მოტოგენერატორი, რომელსაც ადგილზე დადგამენ ქარხნის მუშაკები.

საშეფო სამუშაოების შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხარატი ე. მეძღლიძე, ზეინკლები შ. გოჩიაშვილი, ა. ფრანგულაშვილი, ი. იზხანოვი, შემდუღებელი ვ. გავრილოვი და სხვები.

ი. გეგეშიძე.

### რიონჰესის კოლექტივის მაგალითი

ქუთაისი. (საკ. კორ.). რაიონის მანქანატრაქტორთა სადგურს, რომელიც 14 კოლმეურნეობას ემსახურება, შეფობას უწევს სტალინის სახელობის რიონჰესის კოლექტივი.

რიონჰესელებმა საშეფო მტს-ს ტრაქტორების და სხვა მანქანების შესაკეთებლად გადასცეს 2,5 ტონა ლითონი, ელექტროჩამრთველები, ფარნები, ვოლტმეტრები, ამპერმეტრები და სხვ.

მექანიზატორები პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად შეუფერხებლად მუშაობენ. მათ ყველა სახის სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულეს.

# კომუნიკე
## საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის სესიის შესახებ

1953 წლის დეკემბერში მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომისიის მეხუთე სესია.

სესიამ განიხილა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მორიგი საკითხები და მიიღო ურთიერთ ვალდებულებანი სამრეწველო საწარმოთა და საცხოვრებელი შენობების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის, უახლესი ტიპის მანქანებისა და მოწყობილობის წარმოების სამუშაო ნახაზების, სხვადასხვა სახეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიურ პროცესთა აღწერილობის, სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისა და უწყებრივი დოკუმენტაციის გაცვლის შესახებ.

საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიის სპეციალისტებს შესაძლებლობას მისცემს გაეცნონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებსა და მუშაობის გამოცდილებას, აგრეთვე მიიღებს სპეციალისტებს სამრეწველო საწარმოებში საწარმოო-ტექნიკური პრაქტიკის გასავლელად.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა თავის მხრივ საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის ზოგიერთი დარგის საწარმოო გამოცდილებასა და სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს.

იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან, სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების გაწევა, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა უსასყიდლოდ ხორციელდება.

*პრესის მიმოხილვა*

# გაზეთი და სოფლის პარტიული ორგანიზაციები

გაგრის რაიონული გაზეთი „გამარჯვების დროშა“ გასული წლის ოქტომბრის ერთ-ერთ ნომერში წერდა, რომ სალხინოს სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნა“ და მარტუნის სახელობის კოლმეურნეობა ჩამორჩებიან თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულებაში. გარდა იმისა, რომ მკაცრად გააკრიტიკა სასოფლო საბჭოს აღმასკომი და მისი მუდმივი სასოფლო-სამეურნეო კომისია, რომლებიც კმაყოფილდებიან ამ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მხოლოდ ინფორმაციების მოსმენით, გაზეთმა ღრმად შეისწავლა კოლმეურნეობა „ლენინის ხსოვნაში“ საagitაციო-მასობრივი მუშაობა და მზის სინათლეზე გამოიტანა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. კერძოდ, გაზეთი აღნიშნავდა, რომ აგიტატორები იშვიათად აწყობენ კოლმეურნეებთან საუბრებს, საფუძვლიანად არ აცნობენ მათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთმა სპეციალური წერილი მიუძღვნა მარტუნის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობასაც. როგორც გაზეთი აღნიშნავდა, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ეწევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას, სათანადოდ არ რაზმავს კოლმეურნეებს ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. აკრიტიკებდა რა კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, გაზეთი წერდა:

„თითქმის ყველა საკითხს, რომელსაც იხილავენ პარტიულ კრებაზე, ამზადებს თვით პარტბიუროს მდივანი. იგი კრების მომზადებაში არ აბამს პარტბიუროს სხვა წევრებს და აქტივისტებს. იშვიათად ეწყობა ღია პარტიული კრებები“.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავდა იმასაც, რომ კოლმეურნეობის პარტიული ბიურო სათანადოდ ვერ ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობისადმი პარტიულ კონტროლს. პირიქით, ხშირად პარტიული ბიურო გამგეობის მაგივრობას ეწევა. მაგალითად, პარტბიურომ განიხილა კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „მოიხსნას სამუშაოდან I ბრიგადის ბრიგადირი ქ. ქეშიშიანი და არა უგვიანეს 2 მაისისა მოწვეულ იქნას გამგეობის მორიგი სხდომა და დანიშნულ იქნას სხვა ბრიგადირი“.

გაზეთი სწორად დაასკვნის, რომ პარტიულ ბიუროსა და მისი მდივნის ასეთი არასწორი მოქმედების შედეგად წარმოიშობა შეცდომები და ნაკლოვანებანი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. ეს კი საბოლოო ანგარიშში იწვევს კოლმეურნეობის ჩამორჩენას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს საბრძოლო ამოცანად დაუსახა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ფართოდ ჩაბმა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ხელმძღვანელობდა რა ამ უმნიშვნელოვანესი მითითებებით, გაზეთ „გამარჯვების დროშამ“ თავის ფურცლებზე უკანასკნელ თვეებში ბევრი საქმიანი წერილი დაბეჭდა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე. გაზეთი ცდილობს ფართოდ ასახოს მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, ამავე დროს ამხილებს სოფლის პარტიული ორგანიზაციების ნაკლოვანებებს და უჩვენებს მათი გამოსწორების გზებს. ამ მხრივ აღსანიშნავია წერილები: „ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის პრინციპის დაცვა წარმატებათა საფუძველია“, „პარტიული ორგანიზაცია საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორია“, „აქტივთან მტკიცე კავშირის შედეგად“ და სხვ. ამ წერილებში ნათლად არის გადმოცემული მოწინავე პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, თუ როგორ რაზმავენ ისინი საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

მაგრამ „გამარჯვების დროშას“ მუშაობაში ჯერ კიდევ მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვს. პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნა გაგრის მტს-ი, რომელიც ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში. მაგრამ გაზეთი „გამარჯვების დროშა“ გვერდს უვლის მტს-ის უხეირო მუშაობას, მის ფურცლებზე თითქმის არაფერი იბეჭდება მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაზე, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს პარტიული ორგანიზაცია მტს-ის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. გაზეთს მტს-ის პარტიული ორგანიზაცია მაშინ მოაგონდა, როცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები დაიწყო. მტს-ის პირველადი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთმა ამხილა პარტიული ორგანიზაციის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. მანამდე კი რედაქციის მუშაკები ყურადღებას არ აქცევდნენ ამ პარტიული ორგანიზაციის მუშაობას.

გაზეთმა „გამარჯვების დროშამ“ უფრო ღრმად, ყოველმხრივ უნდა გააშუქოს სოფლის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, ხელი შეუწყოს მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

*„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ*

# „საქალაქო გაზეთი და ვაჭრობის საკითხები“

საქართველოს კ. პ. ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა „კომუნისტში“ მოთავსებული პრესის მიმოხილვა „საქალაქო გაზეთი და ვაჭრობის საკითხები“. „ჭიათურის მაღაროელის“ მიერ ვაჭრობის საკითხების გაშუქებაში ერთგვარ მუშაობასთან ერთად საქალაქო კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ გაზეთს ამ მხრივ აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებანი: თითქმის არაფერს წერს ვაჭრობის დარგის მოწინავე მუშაკთა გამოცდილებაზე, ვაჭრობის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაზე და სხვ.

„ჭიათურის მაღაროელის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი. დასახულია ღონისძიებანი აგრეთვე ჭიათურის მაღაროელთა და ქალაქის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

პრესის მიმოხილვა „საქალაქო გაზეთი და ვაჭრობის საკითხები“ განიხილა აგრეთვე საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ, რომელმაც შეიმუშავა ღონისძიებანი ჭიათურის მაღაროელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

# მოსკოველ არქიტექტორთა პროექტების მიხედვით

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში თავმოყრილია უდიდესი საპროექტო ინსტიტუტები, შექმნილია კარგად მოწყობილი არქიტექტურული სახელოსნოები, რომლებსაც გამოჩენილი საბჭოთა ხუროთმოძღვრები ხელმძღვანელობენ. ბევრ მათგანს მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს. ესენი არიან სტალინური პრემიის ლაურეატები ლ. ვ. რუდნევი — ავტორი ლენინის გორაზე აშენებული მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის პროექტისა, მ. ვ. პოსოხინი — ავტორი 32-სართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტისა, რომელიც აჯანყების მოედანზე შენდება, გ. ა. ზახაროვი — მეტროს სადგურის „კურსკაია კოლცევაიას“ ავტორი, ლ. მ. პოლიაკოვი, რომელმაც შექმნა ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხის არქიტექტურულ ნაგებობათა კომპლექსის პროექტი, სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრები ა. ვ. ვლასოვი, ა. გ. მორდვინოვი, ი. ვ. ჟოლტოვსკი, კ. ს. ალაბიანი და სხვები.

ამ ინსტიტუტებსა და სახელოსნოებში ადგენენ დიდი სამრეწველო ცენტრების რეკონსტრუქციის გენერალურ გეგმებს, ახალი ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების მშენებლობის გეგმებს. ასობით არქიტექტორი და ინჟინერ-კონსტრუქტორი ადგენს იმ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, არქიტექტურული ანსამბლების, კულტურის სასახლეების, კლუბების, სკოლების, ინსტიტუტების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, ვაგზლების, საავადმყოფოების, მაღაზიების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების პროექტებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში უახლოესი წლების მანძილზე აშენდება.

დედაქალაქის ერთ-ერთი უდიდესი საპროექტო ორგანიზაციაა თეატრების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის არქიტექტორთა და ინჟინერთა კოლექტივის მიერ შექმნილი პროექტებით ახლა თეატრის ახალი შენობები შენდება საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში. ვორონეჟში, პეტროზავოდსკში, სევასტოპოლში, ნიჟნი ტაგილში, კიშინიოვში, კალუგაში, გომელში შენდება დრამატული თეატრების მონუმენტური შენობები, რომლებშიც იქნება 800-1.200 ადგილიანი მაყურებელთა დარბაზები.

თეატრების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტის არქიტექტურულ სახელოსნოებში ახლა მზადდება მურმანსკის, ალმა-ატის, კემეროვოს, იალტის, ვიტებსკისა და სხვა ქალაქების დრამატული თეატრების ახალ შენობათა პროექტები. აი, მაგალითად, როგორი იქნება მურმანსკის დრამატული თეატრის შენობა: მის მთავარ ფასადს დაამშვენებს მძლავრი რვასვეტიანი ტილანი, რომელსაც ფრონტონზე ბარელიეფური გამოსახულებანი ექნება. მის ზემოთ მოთავსდება სამი სკულპტურული კომპოზიცია. ნაძერწი ლავგარდანი ექნება შემორტყმული მთელ შენობას. თეატრის შენობების მოსაპირკეთებლად განზრახულია გამოიყენონ კარელიის ვარდისფერი მარმარილო, ფერადი მაიოლიკა, დეკორაციული მინა.

სტალინგრადში, პეტროზავოდსკში, სოჭში, უფასა და სხვა ქალაქებში სულ ამ ცოტა ხნის წინათ აშენდა კინოთეატრების ახალი შენობები, რომელთა პროექტებიც დამუშავდა მოსკოვში კინო-პოლიგრაფიის დამპროექტებელ სახელმწიფო ინსტიტუტში. ახლა აქ იქმნება კინოთეატრების ტიპური პროექტები შუა აზიის მთელი რიგი ქალაქებისათვის.

ამ ინსტიტუტის არქიტექტორთა და ინჟინერთა ჯგუფი ახლა მუშაობს რიგის კინოსტუდიის ახალი შენობის პროექტის შედგენაზე. ამ შენობას ექნება რამდენიმე კორპუსი, რომლებიც ათამდე ჰექტარ ტერიტორიას დაიკავებენ. აქ მოთავსდება სამი გადასაღები პავილიონი, ფილმების გასახმოვანებელი სტუდია, ფილმების გასასინჯავი დარბაზები, დასადგმელი, ოპერატორისა და გასანათებელი საამქროები, კომბინირებული გადაღების საამქრო, მექანიკური და სამკერვალო სახელოსნოები, 200-ადგილიანი კონფერენცდარბაზი, ადმინისტრაციული და დამხმარე სადგომები. პროექტი ითვალისწინებს ნატურალური დეკორაციების გადასაღებ სპეციალურ მოედანს.

ახალი კინოსტუდია ნავარაუდევია იმისათვის, რომ ყოველწლიურად გამოუშვას ხუთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული და რვა მოკლემეტრაჟიანი ფილმი, აგრეთვე 36 კინოჟურნალი.

ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში სამედიცინო დაწესებულებათა დიდი მშენებლობა მიმდინარეობს. ბევრი მათგანი შენდება სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საკავშირო სახელმწიფო დამპროექტებელი ინსტიტუტის პროექტების მიხედვით. სტალინგრადში მთავრდება 600-საწოლიანი საოლქო კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა. საავადმყოფოს კორპუსები შენდება ჩელიაბინსკში, აშხაბადში, სოჭში, ყარაგანდასა და სხვა ქალაქებში. არქიტექტორებმა შეიმუშავეს 75 და 200-საწოლიანი საქალაქო საავადმყოფოების, 35-საწოლიანი რაიონული საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის, ბავშვთა 100-საწოლიანი საინფექციო საავადმყოფოების შენობათა მთელი რიგი ტიპური პროექტები. ამჟამად ინსტიტუტის კოლექტივი ამზადებს აშხაბადისათვის სამედიცინო ინსტიტუტისა და კლინიკური საავადმყოფოს, სტალინსკის საავადმყოფოს შენობისა და სხვა ახალშენებათა პროექტებს.

ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ არქიტექტურულ სახელოსნოში იქმნება ყირიმის პიონერბანაკ „არტეკის“ დაგეგმვისა და გაშენების პროექტი. უახლოეს წლებში ეს ბავშვთა სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერა კიდევ უფრო მშვენიერი და კეთილმოწყობილი გახდება. პროექტის მიხედვით „არტეკს“ ექნება ექვსი პიონერბანაკი. აქედან სამი ბანაკი ახლა შენდება, ხოლო არსებული სამი კაპიტალურად იქნება რეკონსტრუირებული. ექვსივე ბანაკში ერთსა და იმავე დროს დაეტევა 1.500 კაცი.

საპროექტო კანტორა „ფიზკულტპროექტი“ ასრულებს ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის დაკვეთებს სხვადასხვა სასპორტო ნაგებობებზე. ახლა ეს კანტორა ადგენს დონის როსტოვის ახალი სტადიონის პროექტს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვებისათვის“, რიგის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ექვსსართულიანი შენობის პროექტს და სხვ.

„ფიზკულტპროექტის“ კანტორის ერთ-ერთი დიდი ნამუშევარია პროექტი ცენტრალური სასპორტო ბაზისა, სადაც იწვრთნება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა წვრთნა. ეს ბაზა განზრახულია აშენდეს მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკის რაიონში, ორმოც კილომეტრზე დედაქალაქიდან. ეს იქნება სასპორტო ნაგებობათა მთელი კომპლექსი, რომლებიც დაიკავებენ 28 ჰექტარ ტერიტორიას.

ჩვენს ქვეყანაში სავაჭრო ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სავაჭრო შენობების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის არქიტექტორებმა და ინჟინრებმა შეიმუშავეს ისეთი უნივერმაღების შენობათა ტიპური პროექტები, სადაც იქნება ასი, სამოცი და ორმოცი გამყიდველი. ამ პროექტების მიხედვით, მაღაზიების ახალი შენობები უკვე შენდება გორკში, კურსკში, სიმფეროპოლში, კრასნოდარში. გარდა ამისა, შემუშავებულია პროექტები უნივერმაღების ხუთსართულიანი შენობებისა, რომლებიც აშენდება ჩვენი ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრებში. იქმნება ფეხსაცმლის, მზა ტანისამოსის, სასურსათო საქონლისა და სხვა სახალხო მოხმარების საგნების სავაჭრო სპეციალიზებული მაღაზიების პროექტები.

ჩვენს ქვეყანაში დიდი საბინაო მშენებლობა ხორციელდება. ამ ხუთწლედის მანძილზე ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ უნდა გადაიცეს ახალი საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 105 მილიონი კვადრატული მეტრი იქნება. მოსკოველ არქიტექტორთა პროექტების მიხედვით ახლა დიდი საცხოვრებელი უბნები შენდება ჩელიაბინსკსა და მაგნიტოგორსკში, იქმნება შესანიშნავი არქიტექტურული ანსამბლები მინსკსა და გმირ ქალაქ სტალინგრადში. ლამაზი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები შენდება სმოლენსკში, ვორონეჟში, დონის როსტოვში, ნოვგოროდსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში.

დ. ზახაროვი.

# იზრდება მეცნიერთა რიგები

წლითიწლობით იზრდება საქართველოს მეცნიერთა რიგები. მარტო ომისშემდგომ წლებში მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა 400-ზე მეტმა მეცნიერმა მუშაკმა. მათ შორის 80-მა სადოქტორო დისერტაცია.

ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში სწავლობს 200-ზე მეტი კაცი. მათ შორის არიან, მაგალითად, ნ. რაზმაძე, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობდა აბასთუმნის ასტრო-ფიზიკურ ობსერვატორიაში, თანამშრომლობდა ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკაში“, მემინდვრეობის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები შ. აბელაშვილი და რ. კაპანაძე, ექიმები ს. ბუთხუზი, გ. კალანდარიშვილი, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები ნ. ჯინჭარაძე და თ. ლაშხი და სხვ. მათ უკვე აქვთ დიდი გამოცდილება სამეცნიერო-საკვლევ და პრაქტიკულ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა მშენებლობა

# რაისაბჭოს აღმასკომი და მექანიზატორები

რაიონის ცენტრიდან რვა-ცხრა კილომეტრზე, გორისკენ მიმავალი გზატკეცილის მარჯვენა მხარეს მდებარეობს მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური. ოთხი თვის წინათ აქ მუდმივ სამუშაოდ მოვიდნენ ყვარლის რაიონის სოფელ ენისლის სახელოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულები — მჭედელი რ. გოგოლაძე, ზეინკალი ს. ქუქჩიშვილი და მონტიორი პ. გაგიევი.

— მოხარული ვართ, — განაცხადეს მათ, — რომ მონაწილეობას ვიღებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ, ვიმუშავებთ მთელი მონდომებით, მაგრამ ჩვენც გვჭირდება დახმარება და ხელშეწყობა. ამას კი ჯერ ვერ ვხედავთ. აი ნახეთ ჩვენი საცხოვრებელი ბინა...

პატარა ოთახი, რომელიც მტს-ის დირექციას მატერიალურ ფასეულობათა საწყობის გვერდით გამოუყვია ახალგაზრდა ხელოსნების საცხოვრებლად, სრულიად მოუწყობელია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფარღალალა კედლებში ქარი უბერავს და სახურავში წვიმა ჩამოდის.

ეს ფაქტი ცხადყოფს, თუ როგორ უყურადღებოდ ეკიდებიან მტს-ის დირექცია და მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომი მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. მტს-ის დირექციამ (ყოფილი დირექტორი დ. ვარდოშვილი) საცხოვრებელი სახლების შეკეთებისათვის გათვალისწინებული თანხა სხვა საქმეს მოახმარა, ბინები კი შეუკეთებელი დატოვა.

მდგომარეობა არც სხვა მხრივ არის სახარბიელო. მტს-თან გახსნილია რაიკოოპკავშირის მაღაზია. მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს მექანიზატორთა მოთხოვნილებას სასურსათო და სამრეწველო საქონელზე. შემოწმებისას მაღაზიაში არ აღმოჩნდა შაქარი, საპონი, მარილი და სხვა საქონელი.

მტს-ი მოუმზადებელი შეხვდა ზამთარს. ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი კარგახანია დაიწყო, მაგრამ რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტებისათვის ჯერაც არ მოუწყვიათ ღამის გასათევი ოთახი. ამ მიზეზითაც აიხსნება მუშაობაში არსებული შეფერხებები.

თვით მტს-ის სახელოსნო მეტად მოუწყობელია. ჩამტვრეულია ფანჯრის მინები. სახელოსნოში არ არის პირსაბანები, ტანსაცმლის შესანახი კარადები. მტს-ის აპარატში მომუშავე ზოგიერთ სპეციალისტს სამუშაო ადგილი არა აქვს, არ ჰყოფნით მაგიდები და სკამები.

საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფილი არ არიან მტს-დან კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნილი სპეციალისტებიც. ასეა, მაგალითად, ქსოვრისში.

რაიონის ყველა კოლმეურნეობა როდი უსწორებს დროულად ანგარიშს მექანიზატორებს. ტრაქტორისტებს ნ. დონღუზაშვილს, გ. მელაძეს, ი. სოხაშვილს და სხვებს სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობიდან (გამგეობის თავმჯდომარე შ. პაპავაძე) ჯერაც არ მიუღიათ გასული წლის შრომადღეებზე კუთვნილი მარცვლეული. სამწუხაროდ, ამ ფაქტით არც მტს-ის დირექცია დაინტერესებულა და არც რაისაბჭოს აღმასკომი.

ცუდად არის დაყენებული მექანიზატორთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობა. მტს-ს წითელი კუთხე აქვს, მაგრამ იქ არავინ შედის, რადგან მოუწყობელი და ლიტერატურით ღარიბია. ამასთან არც ათბობენ. არ ეწყობა კინოსურათების ჩვენება, იშვიათად იმართება ლექცია-მოხსენებები.

ცხადია, ეს ნაკლოვანებანი არ იქნებოდა, მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე ვ. პაპიაშვილი) დაინტერესებული რომ იყოს მექანიზატორთა ცხოვრებით. აღმასკომს შარშან ერთხელაც არ უმსჯელია მექანიზატორთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დიდი ამოცანები დაუსახა მექანიზატორებს. ამ ამოცანებს ისინი წარმატებით ვერ შეასრულებენ, თუ სათანადო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს არ შევუქმნით.

მექანიზატორთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებისათვის პასუხისმგებლობა პირველ რიგში ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ეკისრებათ. ეს კარგად უნდა გაითვალისწინოს მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობამ.

**მ. ხეთაგური,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## დაუსწრებელი სასოფლო-სამეურნეო განათლება

1.500-მდე აგრონომი, ზოოტექნიკოსი, კოლმეურნე, მტს-ის მექანიკოსი, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. გასულ წელს ინსტიტუტი დაამთავრა 92 აგრონომმა და მექანიზატორმა.

ინსტიტუტის აგრონომიულ, მებაღეობა-მევენახეობის, მცენარეთა დაცვის, მეაბრეშუმეობის, სატყეო ფაკულტეტებზე სწავლების ხანგრძლივობა 6 წელია. წელიწადში ერთხელ სტუდენტები ჩამოდიან ადგილებიდან და ერთი თვის განმავლობაში ისმენენ პროფესორ-მასწავლებელთა ლექციებს, პრაქტიკულად მეცადინეობენ ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში.

ამ დღეებში ინსტიტუტში დაიწყო მორიგი ასეთი მეცადინეობა, რომელიც 5 თებერვლამდე გაგრძელდება.

## ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმში



რამდენიმე წელია დაბა სურამში გახსნილია უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ლესია უკრაინკას სახლ-მუზეუმი. ამ სახლ-მუზეუმის, ხოლო შემდეგ მწერალი ქალის ძეგლის გახსნა უკრაინელი და ქართველი ხალხების მტკიცე მეგობრობის ზეიმად გადაიქცა.

გახსნის დღიდან სახლ-მუზეუმი 200 ათასამდე ადამიანმა ინახულა. შთაბეჭდილებათა წიგნები სავსეა ჩანაწერებით, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე მეტყველებენ.

მრავალ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს სისტემატური მიწერ-მოწერა აქვს სახლ-მუზეუმის თანამშრომლებთან. რამდენიმე ხნის წინათ ლვოვის ი. ფრანკოს სახელობის მუზეუმის დირექტორმა ი. ცედელნიკმა სახლ-მუზეუმს გამოუგზავნა ლ. უკრაინკას ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის ამსახველი ფოტოგამოფენა. აქ წარმოდგენილია კალაძიაუნში უკრაინკას სახლის ფოტოსურათი, მწერალ ი. კოტლიაროვის ძეგლის გახსნაზე გადაღებული სურათი. აქვეა ლ. უკრაინკას დრამის „კატაკომბის" უკანასკნელი ხელნაწერი ფურცლის ფოტოპირი, პიესა „ტყის სიმღერის" თავფურცელი და სხვა დოკუმენტები.

კიევიდან შევჩენკოს ინსტიტუტმა სახლ-მუზეუმს გამოუგზავნა 63 ექსპონატი.

ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად, განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ლ. უკრაინკას სახლ-მუზეუმში. მოწყობილია რუს, უკრაინელ, ქართველ და სხვა მოძმე ერების მწერალთა და გამოჩენილ მოღვაწეთა წიგნების, ფოტოსურათების გამოფენა. აქვეა გაკრული ლამაზი ხელით დაწერილი კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი „იუბილარი". სახლ-მუზეუმის გამგემ ც. მაჭავარიანმა რამდენიმე საუბარი უკვე მიუძღვნა რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. მანვე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ბოგდან ხმელნიცკი უკრაინელი ხალხის დიდი მოღვაწე და მხედართმთავარი".

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებით დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა სურამში დიდი საღამო-კონცერტის მოსაწყობად. საღამოში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვლენ უკრაინისა და საქართველოს მწერლები, კულტურის მუშაკები და სხვები.

**ვ. გურგენიძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

* * *

**სურათზე:** სახლ-მუზეუმის დირექტორი ც. მაჭავარიანი მნახველებს აცნობს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავთან დაკავშირებულ მასალებს.

ფოტო ი. ტკაჩენკოსი.

## ორი სპექტაკლი თელავის თეატრში

თელავი (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა კ. ბუაჩიძის პიესა „მკაცრი ქალიშვილები" და კ. გოგიაშვილის — „ბალნარში". პირველი პიესა დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა მ. მეძმარიაშვილმა, ხოლო მეორე რეჟისორმა რ. ქართველიშვილმა. ორივე სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ი. პეტრაიტისმა.

სპექტაკლებში როლებს ასრულებენ მსახიობები თ. ბურბუთაშვილი, ნ. ურუშაძე, ე. ვერულაშვილი, ე. გვაზავა, ა. კუპატაძე, ვ. ჩელთისპირელი, გ. კველიშვილი, მ. თარხნიშვილი, თ. მანველიშვილი, პ. მარტაშვილი, ე. მოსესოვი და სხვ.

## ახალი წიგნები

**უ. შექსპირი — „ტრაგედიები".** პირველი ტომი. ინგლისურიდან თარგმნილი ივანე მაჩაბლის მიერ, გივი გაჩეჩილაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. „საბჭოთა მწერალი", თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 30.000, გვ. 143, ფასი 14 მან.

ნაწარმოებები ამ გამოცემაში დალაგებულია იმ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით, როგორც ისინი დაწერა შექსპირმა. წიგნში შეტანილია ტრაგედიები: „რიჩარდ მესამე" და „იულიოს კეისარი".

**ფ. შილერი — „დონ კარლოსი",** დრამატული პოემა. გერმანულიდან თარგმნილი ვახტანგ ბეწუკელის მიერ. საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 12.000, გვ. 317, ფასი 8 მან. 70 კაპ.

წიგნს დართული აქვს შენიშვნები. ცნობები ამოღებულია რუსული წყაროებიდან.

**მ. სერვანტესი — „დონ კიხოტი".** მეორე ტომი. ნ. ავალიშვილის მიერ თარგმნილი. ნ. აგიაშვილის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით. საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 10.000, გვ. 652, ფასი 21 მან.

## წერილები რედაქციას

### ერთხელ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ

არაერთხელ დაწერილა და თქმულა ჭიათურაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების შესახებ. სამწუხაროა, რომ ამ აუცილებელ და საჭირო საკითხს არ გამოეხმაურნენ არც ადგილობრივი, არც სათანადო რესპუბლიკური ორგანიზაციები.

გავიხსენოთ ჭიათურაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნის აუცილებლობის დამადასტურებელი ზოგიერთი ფაქტი: მდინარე ყვირილის ხეობა და ჭიათურა-საჩხერის მიდამოები ცნობილია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებითა და უძველესი გამოქვაბულებით. გამოჩენილ ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი ყვირილის ხეობა და ამ მიდამოს ბევრი ისტორიული ძეგლი. მათ შესახებ წერდნენ სხვა მკვლევარებიც.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „1916 წელს პოლონელმა მეცნიერმა სტეფ. კრუკოვსკიმ სოფ. რგანის მიდამოებში გვარჯილას კლდის გამოქვაბულში პალეოლითური, ე. ი. დაუმუშავებელი ქვის ხანის, ტალისა და სხვა ქვისაგან, ძვლისა და რქებისაგან გაკეთებული იარაღ-ნივთები აღმოაჩინა. აქ ნაპოვნი ნივთები ჩამოტანილია და საქართველოს მუზეუმში ინახება. თვით მონაპოვარის შესახებ მისი წინასწარი მოხსენება დაბეჭდილია კავკასიის მუზეუმის უწყებულებათა X წიგნის მესამე ნაკვეთში იმავე 1916 წელს". (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", წიგნი 1, გვ. 6). პოლონელმა მეცნიერმა სოფელ რგანში აღმოჩენილი მასალა შემდეგში მეცნიერულად დაამუშავა და სპეციალური მონოგრაფია გამოაქვეყნა.

ცნობილმა მეცნიერმა კუფტინმა საჩხერის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა და ფრიად საინტერესო იარაღები და ნივთები აღმოაჩინა. მაღაროებში ან მიწის სამუშაოების დროს ხშირად ნახულობენ თევზისა და სხვა ცხოველების ანაბეჭდებს ქვაზე, კბილებს, გაქვავებულ ნიჟაროვან ცხოველებს.

რგანის ერთ გამოქვაბულში ახალგაზრდა ალპინისტმა გ. სამხარაძემ ამ დღეებში იპოვნა ბრინჯაოს სარტყლის ბალთა ცხოველთა გამოსახულებით. იგი ანალოგიურია სოფელ ღებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ბალთებისა, რომლებიც მიეკუთვნება მეხუთე საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქვე ნაპოვნია უძველესი კერამიკის ნიმუშები, იარაღები, ქინძისთავები, ბრინჯაოს ნაჯახი და სხვ.

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაში მოსწავლეებმა იპოვნეს ბრინჯაოს ბალთა ცხოველთა გამოსახულებით, ბრინჯაოს პატარა ვერძი, ორნამენტებიანი და ჩუქურთმებიანი საინტერესო ქვები. ყველაფერი ეს უკეთეს შემთხვევაში კერძო პირებთან ინახება, ხოლო ხშირად იკარგება, რაც დანაშაულია მეცნიერების წინაშე. კიდევ შეიძლებოდა ფაქტების მოყვანა ჭიათურაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების დასასაბუთებლად.

აუცილებელია საბოლოოდ დადებითად გადაიჭრას ჭიათურაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების საკითხი.

**ს. ნეფარიძე,**
„ჭიათურმშენის" სამუშაოთა მწარმოებელი.

## შეუსრულებელი გადაწყვეტილება

ყაჩაღანის მტს-ი და მისი მომსახურების ზონის 8 კოლმეურნეობა კარგა ხანია მოკლებული არიან ტელეფონით ნორმალურად სარგებლობის საშუალებას. მტს-ის სატელეფონო ხაზში ჩართულია ყაჩაღანის სასოფლო საბჭოსა და 3 სხვა სოფლის კოლმეურნეობათა პარალელური ხაზები. ტელეფონის ყურმილში ხშირად ერთდროულად რამდენიმე ხმა ისმის. მეტად გართულებულია რაიონული ცენტრიდან — მარნეულიდან ყაჩაღანის მტს-თან და მისი ზონის კოლმეურნეობებთან დაკავშირება.

უფრო ძნელი ხდება სატელეფონო კავშირის დამყარება მტს-დან რაიონულ ცენტრთან და ზონის კოლმეურნეობებთან. მაგალითად, მტს-დან სოფელ ოფრეთის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობასთან დაკავშირებისათვის მსურველმა ჯერ უნდა მიმართოს შულავრის, შემდეგ სადახლოს საფოსტო განყოფილებებს და ოფრეთის კავშირგაბმულობის საგენტოს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ დასახელებულ მტს-სა და მისი ზონის კოლმეურნეობებს დღემდე არა აქვთ კავშირგაბმულობის საკუთარი საგენტო.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სოფელ ყაჩაღანის კოლმეურნეობა „კომუნიზმის" გამგეობამ კომუტატორი შეიძინა, მაგრამ კავშირგაბმულობის მარნეულის რაიონულმა კანტორამ (უფროსი მ. მუსტაფაევი) ვერ მოახერხა მისი ხაზზე გამართვა. ყაჩაღანის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებთან კავშირის გაუმჯობესების მიზნით არაერთი დადგენილება მიიღო მარნეულის რაისაბჭოს აღმასკომმა, მაგრამ ეს დადგენილებანი მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩა, მტს-ის ზონის კოლმეურნეობათა შორის სატელეფონო კავშირი კვლავ მოუწესრიგებელია.

ამ მეტად საჭირო საქმის მოგვარება დიდად შეუწყობდა ხელს მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს მათ წინაშე დასმული ახალი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

**ვ. კოპალეიშვილი,**
ყაჩაღანის მტს-ის მთავარი აგრონომი.

# „თოლია"

### გრიბოედოვის სახელობის თეატრის ახალი დადგმა

არც ერთ პიესას ისეთი მარცხი არ განუცდია, როგორც ა. ჩეხოვის „თოლიას" 1896 წლის 17 ნოემბერს პეტერბურგის ალექსანდრეს თეატრში, და სამხატვრო თეატრის არც ერთ სპექტაკლს ისეთი გამარჯვება არ ხვდომია, როგორც „თოლიას" 1898 წლის 17 დეკემბერს.

ალექსანდრეს თეატრში მაყურებელი „თოლიას" დრამატულ ადგილებს სიცილით ხვდებოდა და ბოროტად ხითხითებდა. „ჩემი „თოლია" პეტერბურგის პირველ წარმოდგენაზე დიდი მარცხით დამთავრდა. თეატრი ბოროტად ქშინავდა, ჰაერი სიძულვილისაგან შეიკუმშა და მე ფიზიკის კანონის მიხედვით პეტერბურგიდან ყუმბარასავით გამოვვარდი", — სწერდა ა. ჩეხოვი ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს. რეცენზენტებმა თავიანთი კალმები ააწრიპინეს და პიესას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. „ბირჟევიე ვედომოსტის" თანამშრომელი ირონიით შენიშნავდა, რომ პიესა თოლია კი არა მტკნარი სისულელეაო.

აი ყველას მიერ დაწუნებულ პიესას დგამს სამხატვრო თეატრი, და სპექტაკლს წილად ხვდა გაუგონარი წარმატება. მთელი მოსკოვი ახმაურდა. სამხატვრო თეატრი გამარჯვებას ზეიმობდა. ყველამ აღიარა ჩეხოვი როგორც იშვიათი დრამატურგი-ნოვატორი. რამ გამოიწვია ერთ-ერთ სახელოვან თეატრში პიესის უჩვეულო მარცხი და მეორე თეატრში იშვიათი წარმატება? ამისი მიზეზი იყო ის, რომ ალექსანდრეს თეატრში ჩეხოვს როგორც ნოვატორს, ახალი გზების მაძიებელს ვერ გაუგეს.

„თოლიას" ერთ-ერთი პერსონაჟი, დამწყები დრამატურგი კონსტანტინე ტრეპლიოვი აცხადებს: „ახალი ფორმებია საჭირო, ახალი ფორმები. თუ ეს არ არის, უმჯობესია არაფერი იყოს".

ტრეპლიოვის პირით თვით პიესის ავტორი ლაპარაკობდა და სინამდვილეში ახალ ფორმებს ამკვიდრებდა. ა. ჩეხოვი მთელ თავის ყურადღებას ადამიანის შინაგანი სამყაროს გამოვლინებას აქცევდა, ამისათვის არავითარ გარეგნულ ხერხებს არ მიმართავდა. სცენიური რუტინისაგან თავის დაღწევა, ყველაფრის სიმართლით წარმოსახვა ჩეხოვის დრამატურგიის მამოძრავებელი ძალაა. მის პიესებში ვერ მოისმენთ მაღალფარდოვან სიტყვებს, ნატიფ გამოთქმებს, ვერ იხილავთ ეფექტურ სცენებს. წერის მისი მანერა თითქოს მოქმედებას ადუნებს, მაგრამ თავისი სიმართლით დიდ განწყობილებას ქმნის. თუ ჩეხოვის პიესამ განწყობილება არ შექმნა, მარცხი აუცილებელია.

ერთ-ერთ რეპეტიციას ალექსანდრეს თეატრში ავტორი დაესწრო. შეკითხვაზე, თუ როგორია მისი შთაბეჭდილება, ა. ჩეხოვმა უპასუხა: „არა უშავს რა, მხოლოდ ბევრს თამაშობენ". სწორედ ამ „თამაშმა" — ლამაზმა პოზებმა, გარეგნულმა ტემპერამენტმა და პლასტიკურმა ჟესტებმა გამოიწვია „თოლიას" მარცხი. ძველ პიესებზე აღზრდილ მსახიობთა გარდაქმნა ხუთი-ექვსი რეპეტიციით შეუძლებელი იყო. შემოღებული და დამკვიდრებული ხერხების უარყოფა არც ისე იოლი აღმოჩნდა. „ჩეხოვი რომ ითამაშო, საჭიროა უწინარეს ყოვლისა მიაგნო მის ოქროს მადანს, დაემორჩილო მთლიანად სიმართლის გრძნობას, მის მომხიბვლელობის თილისმას, დაუჯერო ყველაფერში", — წერდა დიდი რუსი რეჟისორი კ. სტანისლავსკი. მართლაც სამხატვრო თეატრმა მიაგნო ჩეხოვის ოქროს მადანს, ავტორის განწყობილებით განიმსჭვალა და გამარჯვებასაც ამიტომ მიაღწია.

მიაგნო თუ არა ამ მადანს თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრმა? — აი საკითხი, რომელიც მაყურებელს აღძვრის პიესის დასაწყისიდანვე. ის დაძაბული ყურადღება, რომლითაც დარბაზი იმსჭვალება, მოწმობს, რომ თეატრმა შეძლო იმ გასაღების პოვნა, რასაც მიაღწია სამხატვრო თეატრმა. „პიესის სიუჟეტი ახალი უნდა იყოს", — წერდა ჩეხოვი და მაყურებელიც გულდასმით ადევნებს თვალყურს პიესის სიუჟეტს, თანაუგრძნობს სორინის მოურავის შამრაევის ქალს მაშას, რომელსაც უიმედოდ უყვარს ტრეპლიოვი. ტრეპლიოვის ოცნება — ახალი სიტყვა თქვას დრამატურგიაში — განუხორციელებელი რჩება. როგორც დრამატურგმა, მან რუტინას თავი ვერ დააღწია. მისი სატრფო — უმწიკვლო თოლია — ნინა ზარეჩნაია ბელეტრისტ ტრიგორინის მსხვერპლი გახდა. უბედურია უხეშ შამრაევის ხელში მისი მეუღლე პოლინა. ოცნება სორინსაც განუხორციელებელი დარჩა. იგი მთელ თავის სიცოცხლეში ნატრობდა გამხდარიყო ლიტერატორი, მაგრამ ამას ვერ ეღირსა, ოცნებობდა ოჯახს მოჰკიდებოდა და ამასაც ვერ მიაღწია. მსახიობი ირინა არკადინა კი ბერდება და სულ იმის შიშშია, რომ ბელეტრისტი ტრიგორინი არ დაკარგოს. ნინა ზარეჩნაიას ფაქიზი გრძნობები გათელეს, და იგი ხსნას სცენაზე ეძებს. სუსტი ნებისყოფის ტრეპლიოვი კი თავს იკლავს. აი, ამ ადამიანთა მოქმედების ქარგაზე ჩეხოვი მკაფიო შტრიხებით გვიხატავს ძველი სამყაროს ერთ-ერთი ფენის უღიმღამო ცხოვრებას.

პიესის დამდგმელმა რეჟისორმა ლ. ვარპახოვსკიმ და თეატრის მთელმა კოლექტივმა კარგად შეიგრძნეს ა. ჩეხოვის ამ პოეტური ქმნილების არსი. თეატრმა მაყურებელს თვალწინ გადაუშალა ის დიდი ტრაგედია, რითაც იტანჯებიან პიესის გმირები. რეჟისორის მთავარი ყურადღება პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს გამოვლინებისათვის მიუქცევია, და მიზანიც მიღწეულია. თუ ზოგჯერ სპექტაკლისადმი ყურადღება ოდნავ ნელდება, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზოგი მსახიობი ალაგ-ალაგ პერსონაჟთა წარმოსახვისას ძველ ხერხებს იშველიებს და „თამაშით" ცდილობს ზემოქმედების გაძლიერებას.

ირინა არკადინას როლი დაკისრებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ლ. ვრუბლევსკაიას. ნიჭიერ მსახიობს კარგად აქვს გააზრებული შებერებული ეგოისტი ქალის ტრაგედია და საინტერესო სახესაც ქმნის, მაგრამ იგი მაინც არ არის სრულყოფილი. მსახიობი მთლიან გარდასახვას ვერ აღწევს და აქტიორული ტექნიკის საშუალებით ავსებს იმ ხარვეზებს, რაც იგრძნობა არკადინას სამყაროს გადმოცემისას.

ჩეხოვის პერსონაჟთა სრულყოფილად წარმოსახვა იოლი საქმე როდია. გავიხსენოთ მისი იშვიათი ინტერპრეტატორის კ. სტანისლავსკის მუშაობა „თოლიაში" ტრიგორინის როლზე. მსახიობი რამდენჯერმე დაუბრუნდა მის დამუშავებას და ამ სახით ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ იყო არც თვითონ და არც ავტორი. „თქვენ კარგად თამაშობთ, მაგრამ ჩემ მიერ შექმნილ სახეს კი არა", — უთხრა ა. ჩეხოვმა კ. სტანისლავსკის. კ. სტანისლავსკი ამ გარემოებას ხსნიდა იმით, რომ არ იცნობდა იმდროინდელ ლიტერატურულ სამყაროს და წარმოდგენა არა ჰქონდა მისი ტიპების ყოფა-ცხოვრებაზე. ყველა მსახიობს მართებს გაიმსჭვალოს სცენის დიდი მასწავლებლის ასეთივე დიდი პასუხისმგებლობით საქმისათვის, და გამარჯვება მიღწეული იქნება.

კონსტანტინე ტრეპლიოვს ასახიერებენ ი. ზლობინი და ნ. ტროიანოვი. ორივეს როლი სწორად აქვს გააზრებული. კარგად შეუგნიათ ყოველივე, რაც აწუხებს ტრეპლიოვს, მაგრამ პირველს აკლია სიმძაფრე, მეორეს კი სახის გაღრმავება ესაჭიროება. როლის სიმართლით წარმოსახვა და ბუნებრივობა სიმძაფრეს არ გამორიცხავს. ტრეპლიოვს ბოღმა ახრჩობს. მართალია, ის სუსტი ნებისყოფის ადამიანია და უიმედო სიყვარულმა ფრთები შეუკვეცა, მაგრამ სწორედ ასეთ ადამიანებს სჩვევიათ უცაბედი აფეთქება, აღგზნება. ამის მაგალითია სცენა დედასთან, რაც ი. ზლობინისაგან მეტ გაქანებას მოითხოვს.

ტრეპლიოვი როგორც დეკადენტი და სიმბოლისტი განწირულია. მსახიობი ნ. ტროიანოვი ამ გარემოებას ვერ ავლენს. ამ მხრივ ი. ზლობინი უფრო სწორად გამოხატავს ჩეხოვის ჩანაფიქრს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტის კ. მიუფკეს მიერ გამოძერწილი სორინი თავისი მთლიანობით და სიმართლით მთელი სპექტაკლის ყურადღების ცენტრშია.

დიდი გრძნობითა და განწყობილებით ასრულებს ნინა ზარეჩნაიას როლს მსახიობი ნ. ბურმისტროვა. პოეტური გატაცება, ლირიზმი და უკანასკნელ მოქმედებაში ტრიგორინის მიერ გათელილი თოლიას სევდა, აფორიაქებული სული მაყურებელს ხიბლავს. ნინა ზარეჩნაიას სახე ნიჭიერი მსახიობის ნ. ბურმისტროვას უდავო გამარჯვებაა.

მაშას როლის განსახიერებამ თავის დროზე სამხატვრო თეატრში აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ჩეხოვის ქმნილებით მოხიბლული ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო ჩეხოვს სწერდა: — მაშას როლს ლირიზმი წაართვეს და ამით ამ სახემ ბევრი დაკარგაო. გრიბოედოვის თეატრში მაშას როლის შემსრულებელი მსახიობი ი. კირილოვა სწორედ ამ ლირიზმით იპყრობს მაყურებელთა ყურადღებას.

როგორც მსახიობი, სწრაფად იზრდება პ. ლუსპეკაევი. ტრიგორინის სახის შექმნისას იგი სრულ გარდასახვას აღწევს, ისეთი სიმართლით გადმოგვცემს მის გრძნობებს, რომ მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს. ტრიგორინის სახე ახალგაზრდა ნიჭიერი აქტიორის მორიგი წარმატებაა.

სიმართლით ანსახიერებს დორნის როლს უკრაინის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. სლავინი.

ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მხატვარ ირინა შტენბერგს კარგად აუსახავს ა. ჩეხოვის „თოლიას" ეპოქა და გარემო.

ა. ჩეხოვის წარმტაცი პოეტური ქმნილების „თოლიას" სიყვარულით განსახიერება გრიბოედოვის თეატრის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა.

**ა. ბურთიკაშვილი.**



**სურათებზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. ვრუბლევსკაია (არკადინა), უკრაინის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. სლავინი (დორნი), ნ. ბურმისტროვა (ზარეჩნაია) და ნ. ტროიანოვი (ტრეპლიოვი).

ფოტო ვლ. გინზბურგის და გ. ვახტანგაძისა.

## „საბჭოთა ხელოვნება მსოფლიოს ყველა ხალხის მისწრაფებებს ასახავს"

### ბრაზილიელი მხატვრის განცხადება

მონტევიდეო, 7 იანვარი. (საკდესი). ბრაზილიის გაზეთმა „იმპრენსა პოპულარმა" გამოაქვეყნა განცხადება ბრაზილიელი მხატვრის კარლოს სკლიარისა, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. კარლოს სკლიარო აღტაცებით ლაპარაკობს საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების მიღწევებზე. კარლოს სკლიარმა დაათვალიერა მოსკოვისა და ლენინგრადის მუზეუმები, სკოლები, თეატრები და სხვა ადგილები, პირადად შეხვდა საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

„მე მიმაჩნია, — წერს იგი, — რომ არც ერთ თანამედროვე მხატვარს არ ექნება ყოვლისმხრივი ცოდნა, თუ არ ეწვევა საბჭოთა კავშირს, სადაც ყველაზე უფრო განვითარებულია თანამედროვე ხელოვნება, რომელსაც საფუძვლად უდევს საუკეთესო ტრადიციები... თანამედროვე საბჭოთა ხელოვნება, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხების ცხოვრებას, ასახავს მსოფლიოს ყველა ხალხის მისწრაფებებს. საბჭოთა ხელოვნება ახალი აღორძინების ეპოქის დასაწყისია".

კარლოს სკლიარო ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ხალხის კულტურის მაღალ დონეს. საბჭოთა ადამიანები, აღნიშნავს იგი, ბრაზილიის დიდი მეგობრები არიან. ისინი ცდილობენ უკეთ გაიცნონ ბრაზილიის ხელოვნება, განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და ბრაზილიის კულტურული ურთიერთობა.

## ამერიკის პრესა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის შესახებ ჩინეთის მიმართ

ნიუ-იორკი, 6 იანვარი. (საკდესი). ამ უკანასკნელ ხანებში ამერიკის პრესის ზოგიერთ ორგანოში ეხებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გადასინჯვის საკითხს.

გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" ვა- [illegible]

[illegible] წოდა ამერიკის ოფიციალურ მოღვაწეებს გადასინჯონ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩინეთის მიმართ. დინის აზრით, წერს კორესპონდენტი, ისინი, ვინც იმედს ამყარებს ჩან კაი-შიზე, შექმნილი მდგომარეობის შეფასებაში თავს იტყუებენ. „ჩვენს ნამდვილ რეალურ ინტერესებს შეესაბამება, — განაცხადა დინმა, — სხვანაირად შევაფასოთ ეს მდგომარეობა".

## ორი გომინდანელი მფრინავი სახალხო ჩინეთის მხარეზე გადაფრინდა

პეკინი, 6 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა 5 იანვარს ფუჯოუდან გადმოგვცა:

1953 წლის 18 დეკემბერს ჩან კაი-შის ბანდის ნაზოლარების სამხედრო-საჰაერო ძალების ორი სამხედრო მოსამსახურე „ატ-6" მარკის სასწავლო თვითმფრინავით (სერიული ნომერი 145) ტაივანიდან კონტინენტურ ჩინეთში გადმოფრინდა. ისინი გაოსიუნის (ტაივანი) საფრენოსნო სკოლის აეროდრომიდან აფრინდნენ და მშვიდობიანად დაეშვნენ ფუძიანის პროვინციის აეროდრომზე. სასწავლო თვითმფრინავზე იყვნენ ჩან კაი-შის ოფიცერთა საფრენოსნო სკოლის მსმენელი ტაო კაი-ფუ და სამხედრო-საჰაერო ძალების ტაინანის მეტეოროლოგიური სადგურის რადისტი ცინ ბაო-ცუნი. 1949 წელს ისინი აიძულეს ტაივანზე წასულიყვნენ.

ამ ორმა სამხედრო მოსამსახურემ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განცხადება გააკეთა, თუ რა გეგმები აქვთ ამერიკელებს ტაივანზე და როგორ მოღალატურად მოქმედებენ გომინდანელი ბანდიტები.

შემდეგ მფრინავებმა დაწვრილებით ილაპარაკეს, თუ როგორ თანდათან უარესდება კუნძულ ტაივანის მცხოვრებთა საარსებო პირობები.

## მუშათა მოძრაობა იტალიაში

### იტალიის სამრეწველო ოლქების პროფკავშირული აქტივის თათბირზე

რომი, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ მილანში გაიმართა მილანის, ტურინისა და გენუის პროვინციების პროფკავშირული აქტივის თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივნები ბიტოსი და სანტი, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მშრომელთა ფედერაციის გენერალური მდივანი როვედა და საფეიქრო მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა ფედერაციის გენერალური მდივანი ტერეზა ნოჩე.

თათბირზე გამოსულმა მილანის შრომის პალატის მდივანმა მარიო მონტანიანამ აღნიშნა ის მნიშვნელოვანი წარმატებანი, რომლებსაც მიაღწიეს მშრომელებმა ამ უკანასკნელი თვეების მანძილზე თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლის მსვლელობაში: მასობრივი დათხოვნები თითქმის ყველგან შეჩერებულია; ბევრ ქარხანაში მშრომელებმა მიაღწიეს ხელფასის გადიდებას და სხვ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მყარდება პროფკავშირული ორგანიზაციების მოქმედების სულ უფრო მჭიდრო ერთიანობა, რასაც მოწმობს სამრეწველო მუშათა და სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა უკანასკნელი საყოველთაო ეროვნული გაფიცვები, აგრეთვე მთავრობის კრიზისი, რაც გამოწვეულია მუშათა მასების ზეგავლენითა და ქრისტიან დემოკრატთა პარტიაში არსებული წინააღმდეგობებით.

მაგრამ, განაგრძო მონტანიანამ, საერთო ვითარება იტალიაში, მოსახლეობის ფართო ფენების მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, სიძნელეები, რომლებსაც მრეწველობა განიცდის, აუცილებელს ხდიან კიდევ უფრო გადამწყვეტ და თანმიმდევრულ ბრძოლას.

## „თავიდან ავიცილოთ დოლარის იმპერიალიზმის საფრთხე"

### პაკისტანის გაზეთი გმობს ამერიკის სამხედრო „დახმარებას" პაკისტანისადმი

კარაჩი, 7 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „პაკისტან ტაიმსმა" გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელშიც მკვეთრად გმობს ამერიკის „სამხედრო დახმარებას" პაკისტანისადმი.

გაზეთი წერს: ბუნდოვანი განცხადებანი, რომლებიც დღემდე გააკეთა მთავრობის სხვადასხვა წარმომადგენელმა, არ იძლევიან იმის შესაძლებლობას, რომ დეტალურად იქნას განხილული ამ საკითხის ყოველი ასპექტი. მაგრამ პრემიერ-მინისტრ მოჰამედ ალის განცხადება იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტისადმი კარაჩში მთელი სიცხადით მოწმობს, რა სურთ ამერიკის შეერთებულ შტატებს პაკისტანისაგან იმ სამხედრო დახმარების ნაცვლად, რასაც ისინი მას გაუწევენ.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ პაკისტანი, რომელიც აზიის გულია, ძლიერი უნდა იყოს იმისათვის, რომ განამტკიცოს მთელი კონტინენტი. შეეხო რა პაკისტანის სტრატეგიულ მდგომარეობას, მან თქვა, რომ პაკისტანი იცავს ინდოეთის დამპყრობთა ტრადიციულ გზებს „ცენტრალური აზიის ველებიდან და მთებიდან" [illegible]

[illegible] საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების სრულ თავისუფლებას, არამედ მთელი მისი საშინაო პოლიტიკა ვაშინგტონელ ექსპერტთა საზრუნავი საგანი გახდება. თუ სამხედრო დახმარების ნაცვლად, კვლავ კითხულობს გაზეთი, ჩვენი დამოუკიდებლობა შეიზღუდება, ჩვენი ეკონომიკა დაექვემდებარება უცხოეთის კონტროლსა და ხელმძღვანელობას, შეიკვეცება ჩვენი უფლება ამოვირჩიოთ მეგობრები და გამოვარკვიოთ ვინ არის ჩვენი მტრები, და თუ ჩვენს ეროვნულ ინიციატივას ცხოვრების ყველა სფეროში შებოჭავს უცხოელთა გეგმები, მაშინ რის დაცვას ვაპირებთ?".

ყველა ეს მოსაზრება, წერს გაზეთი, მოწმობს, რომ თოკი კი არა, არამედ ნამდვილი ჯაჭვი შებოჭავს პაკისტანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განმტკიცების ისტორიულ პროცესს.

დასასრულ გაზეთი მოუწოდებს მთავრობას გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება ამერიკის სამხედრო „დახმარების" ასეთი სახით პირო- [illegible]

## კორეა-ჩინეთის მხარის პროტესტი ამერიკელთა მიერ დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევის წინააღმდეგ

[illegible]

## ფასების ზრდა იაპონიაში

ტოკიო, 8 იანვარი. (საკდესი). [illegible]

## სუდანის პარლამენტის სესიაზე

კაირო, 7 იანვარი. (საკდესი). ხართუმში ამ დღეებში გაიხსნა სუდანის პარლამენტის სესია.

სუდანის პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან — წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. წარმომადგენელთა პალატაში 97 დეპუტატია, სენატში — 50 სენატორი, რომელთაგანაც 20-ს კი არ ირჩევენ, არამედ ინგლისის გენერალ-გუბერნატორი ნიშნავს.

პარლამენტის არჩევნები ხორციელდებოდა შერეული სისტემით: საარჩევნო ოლქების მეტ ნაწილში წარმოებდა პირდაპირი, ხოლო დანარჩენებში — ორ-საფეხურიანი არჩევნები. მანდატების უმეტესობა ორივე პალატაში მიიღეს ეროვნულ-უნიონისტური პარტიის წარმომადგენლებმა. ეს პარტია არჩევნებში გამოდიოდა ინგლისის ოკუპაციისაგან სუდანის განთავისუფლებისა და ეგვიპტესთან ერთიანობის ლოზუნგით.

ინგლისის გენერალ-გუბერნატორმა ჰაუმ, რომელიც სუდანის შესახებ ინგლის-ეგვიპტის შეთანხმების პირობათა მიხედვით ამტკიცებს გადაწყვეტილებას პარლამენტის პალატების თავმჯდომარეთა არჩევაზე, უარი თქვა დაემტკიცოს ეროვნულ-უნიონისტური პარტიის წევრის იბრაჰიმ ელ-მუფთის არჩევა წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის პოსტზე, თუმცა მას ხმა მისცა დეპუტატთა უმრავლესობამ.

რამდენიმე დღის გაჭიანურების შემდეგ ჰაუ დათანხმდა იმაზე, რომ წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარედ აერჩიათ ბაბარკ ავადალი, კორდოფანის პროვინციის უმაღლესი სასამართლოს ყოფილი წევრი.

სენატის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ეროვნულ უნიონისტური პარტიის წევრი ახმედ მუჰამედ იასინი.

ინგლისის გენერალ-გუბერნატორის ჩარევამ სუდანის პარლამენტის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების მსვლელობაში, პრესის ცნობებით, სუდანისა და ეგვიპტის საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

გუშინ 56 ხმის უმრავლესობით 37 ხმის წინააღმდეგ ეროვნულ-უნიონისტური პარტიის თავმჯდომარე ისმაილ ალ-აზჰარი არჩეულ იქნა პრემიერ-მინისტრად. ეს უკანასკნელი შეუდგა სუდანის მთავრობის შედგენას.

## სენატორ მაკარტის საზოგადოებრივი გასამართლება ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, 6 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესულმა ორგანიზაციებმა ნიუ-იორკში მოაწყეს სენატორ მაკარტის საზოგადოებრივი გასამართლება. სენატორ მაკარტის ბრალად სდებენ იმას, რომ იგი „შეურაცყოფს და აშინებს ამერიკელ მოქალაქეებს, ართმევს მათ კანონიერ კონსტიტუციურ უფლებებს".

სასამართლოში ბრალმდებლად გამოვიდა ცნობილი იურისტი ფრენკ სერი; ბრალმდებლის თანაშემწედ — რადიოსა და ელექტრომრეწველობის მუშათა დამოუკიდებელი გაერთიანებული პროფკავშირის ვაშინგტონელი წარმომადგენელი რასელ ნიქსონი. ბრალდების მოწმეებად გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლები, პროფკავშირული მოღვაწეები და სხვა პირები, მათ შორის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი ჰოვარდ ფასტი, ბეწვეულისა და ტყავის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის თავმჯდომარე ბენ გოლდი და საერთაშორისო ვალუტის ფონდის ყოფილი მდივანი ფრენკ კოე.

ნაფიცმა მსაჯულებმა ბეწვეულისა და ტყავის მრეწველობის პროფკავშირის მოღვაწის ლეონ სტრაუსის მეთაურობით მაკარტი დამნაშავედ ცნეს. ეს განაჩენი მხურვალედ მოიწონა დარბაზში მყოფმა საზოგადოებამ.

## ამერიკის შეერთებული შტატები თავს ახვევენ სამხედრო შეთანხმებებს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს

ბეირუთი, 7 იანვარი. (საკდესი). ლიბანის პრესა, იმოწმებს რა ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობას, აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას აწარმოებენ ერაყთან, პაკისტანთან და საუდის არაბეთთან სამხედრო შეთანხმებათა დადების, აგრეთვე ირანისათვის სამხედრო მიწოდებათა გადიდების შესახებ.

## სპორტის ამბები

### საბჭოთა კავშირის მოთხილამურეთა წარმატება შეჯიბრებაზე შვეიცარიაში

გრინდელვალდი, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს შვეიცარიის ლამაზ მთის დაბაში — გრინდელვალდში, მოთხილამურეთა შეჯიბრების ტრადიციულ ადგილას, დაიწყო მოთხილამურე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ უძლიერესი მოთხილამურენი — სსრ კავშირის, შვეციის, იტალიის, შვეიცარიის, იუგოსლავიის, დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლები.

დღევანდელმა დღემ პირველი დიდი წარმატება მოუტანა საბჭოთა კავშირის მოთხილამურეებს. 10 კილომეტრ დისტანციაზე საბჭოთა კავშირის მოთხილამურეებმა საუკეთესო დრო უჩვენეს და ყველა პირველი ადგილი დაიკავეს.

პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა ვალენტინა ცარიოვამ, რომელმაც დისტანცია გაიარა 43 წუთში. შემდეგი ადგილები შესაბამისად დაიკავეს სპორტის საბჭოთა ოსტატებმა: მასლენიკოვამ (43 წუთი და 42 წამი), სუშინამ (44 წუთი და 19 წამი), კატკოვამ (44 წუთი და 20 წამი), ლეონტიევამ (44 წუთი და 36 წამი), მეექვსე ადგილი დაიკავა ერმინიამ (იტალია — 49 წუთი და 18 წამი).

### დამთავრდა სლალომისტთა ასპარეზობა

ბაკურიანი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). 6 იანვარს აქ გაიმართა საბჭოთა კავშირის უძლიერეს სლალომისტთა უკანასკნელი შეხვედრები. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს მოთხილამურე ქალებმა, რომელთა რიგებში იყვნენ სპორტის ოსტატები, პირველთანრიგოსნები. ასპარეზობის ტრასა უდრიდა 1.350 მეტრს.

ყურადღების ცენტრში იდგა სპორტის ოსტატების ე. სიდოროვასა და ვ. სობოლევას გამოსვლა. სწრაფად და ლამაზად გაიარა რთული ტრასა (სლალომი გიგანტი) დინამოელმა ე. სიდოროვამ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მან აჩვენა დრო 1 წუთი და 56,2 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის „სპარტაკის" მოთხილამურე ვ. სობოლევა, რომელმაც 1.350 მეტრი გაიარა 2 წუთში და 3.5 წამში. მესამე ადგილი დაიკავა ნ. ბულატოვამ (2 წუთი და 16,5 წამი).

უძლიერეს სლალომისტთა ასპარეზობამ ცხადყო საბჭოთა მოთხილამურეების კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება. შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გადაეცათ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს ჯილდოები.

### საკავშირო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდებზე

გასულ წელს გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა" გამოაცხადა საკავშირო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაზე. კონკურსმა ფართო ინტერესი გამოიწვია საეტიუდო ხელოვნების კომპოზიტორთა შორის. გამოიგზავნა 33 ეტიუდი.

პირველი პრიზი მიენიჭა ოსტატ ა. გერბსტმანის (ალმა-ატა) მაღალხარისხოვან ეტიუდს. მეორე პრიზი მიიღო ოსტატმა ვ. კოროლკოვმა (ლენინგრადი), მესამე — ქართველმა ეტიუდისტმა გ. ნადარეიშვილმა (თბილისი), მეოთხე — სტალინგრადელმა ზ. ბირნოვმა, მეხუთე — ახალგაზრდა ეტიუდისტმა ი. ყრიხელმა (გორი).

საპატიო და საქებ შეფასებით აღინიშნა 6 ეტიუდი, მათ შორის თბილისელ ვ. ბუბუტეიშვილის ნაწარმოები.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოებულ იქნა საქართველოდან შემოსული 2 საუკეთესო ეტიუდი. პირველი პრიზი მიეკუთვნა გ. ნადარეიშვილის მინიატიურას, მეორე — ქუთაისელ რ. დადუნაშვილს.

კონკურსი ხელს შეუწყობს ჩვენს რესპუბლიკაში საეტიუდო კომპოზიციის შემდგომ პოპულარიზაციას.

**თ. გიორგაძე,**
ოსტატობის კანდიდატი, კონკურსის მთავარი მსაჯი.

## თბილისი



სურათზე: საქპურტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საბავშვო ბაღის აღსაზრდელები საახალწლო ნაძვისხესთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

### გაცემულია 70 მილიონამდე მანეთი მოგება

თბილისის შემნახველი სალაროები შეუდგნენ 1948 წლის ორპროცენტიანი სახელმწიფო სესხის მე-12 ტირაჟის მოგებათა და ამავე სესხის დაფარვის მე-2 ტირაჟში გასული ობლიგაციების განაღდებას.

მოგებათა გაცემის პირველ დღეს, 6 იანვარს, მარტო კალინინის რაიონის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ 425 მოგებაზე გასცა 196.600 მანეთი. სალაროში წარდგენილია 016.465 და 047.638 სერიის № 24 და 46 200-მანეთიანი ობლიგაციები, რომლებსაც ათ-ათი ათასი მანეთი მოგება ხვდათ, და 1.000 მანეთიანი ობლიგაცია № 46-50 (სერია 020.952), რომელსაც 26.600 მანეთი მოგება ხვდა.

1953 წელს თბილისის შემნახველმა სალაროებმა სახელმწიფო სესხების მოგებათა სახით გასცეს 70 მილიონამდე მანეთი.

### ახალი საბავშვო კინოჟურნალები

თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" ქრონიკისა და დოკუმენტალური ფილმების სექტორმა ეკრანზე გამოუშვა ახალი კინოჟურნალები — „ნორჩი თაობა" № 11 და № 12.

„ნორჩი თაობის" მე-11 ნომერში (რეჟისორი ა. მამულაშვილი) ნაჩვენებია ბავშვთა სასწავლო-შემოქმედებითი მე-9 რესპუბლიკური კონფერენცია, რომელიც გაიმართა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, თბილისის ქალთა მე-15 სკოლის ნორჩი ნატურალისტები დიღუბის სანერგეში, ნორჩი მოთხილამურეები, რომლებიც ბაკურიანში ემზადებიან საკავშირო სათხილამურო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

„ნორჩი თაობა" № 12 (მონტაჟის ავტორი ლ. გოშაძე) მაყურებელს აცნობს თბილისის მეხუთე სახელოსნო სასწავლებლის მოწინავე მოსწავლეებს, მათ პრაქტიკულ მეცადინეობას. ჟურნალში ნაჩვენებია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გეოგრაფიის კაბინეტის წევრი ბავშვების სტუმრობა პროფესორ ა. ჯავახიშვილთან.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

პროგრამის მე-2 ციკლი
რსფსრ სახალხო არტისტი
**ვლადიმერ დუროვი**
დუროვის რკინიგზა და დიდი საცირკო წარმოდგენა
დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

სასკოლო არდადეგების დღეებში
რსფსრ სახალხო არტისტი
**ვ. გ. დუროვი ნაძვისხესთან**
**დუროვის რკინიგზა**
მონაწილეობენ გაწვრთნილი ცხოველები
დღის წარმოდგენების
დასაწყისი I—1 ს., II—3½ ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.
სალაროები ღიაა დილის 10 საათიდან.

**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 9 იანვარს | დღის 12 საათზე<br>პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი**<br>საღამოს<br>ჯ. ვერდი — **რიგოლეტო** |
| 10 იანვარს | დღის 12 საათზე<br>დ. თორაძე — **მშვიდობისათვის** (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).<br>საღამოს<br>პ. ჩაიკოვსკი — **ევგენი ონეგინი** |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**დღეს თბილისის თეატრებში**

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, მარჯანიშვილის სახელობის — გიორგი სააკაძე (რკინიგზელის სახლში), გრიბოედოვის სახელობის — კიკვიძე (დილას), თოლია (საღამოს), მუსიკალური კომედიის — შურისმაძიებელი (დილას), მათი ოცნება (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ლურჯა (აბონემენტი № 27, დილას), სურამის ციხე (აბონემენტი № 20, 7 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უბის წიგნაკი (11 ს.), ვიცე-ზემდეგი (6 ს.), ხანიტარული კულტურის — ცირკი, თოჯინების ქართული — დათუნიას ქოხი (11, 2 ს.).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, 26 კომისრის, პლეხანოვის სახელობის კლუბი — ამხანაგის ღირსება, ოქტომბერი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — კრეჩინსკის ქორწინება, თბილისი — უდანაშაულო დამნაშავენი, სპარტაკი — ნორჩი გულით, კოლხიდა — ორი ბატონის მსახური, კოლმეურნე — ჩემი პატარა მეგობარი, ოფიცერთა სახლი, დიდუბე — მზითვიანი ქორწილი.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი** აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ა. წ. 19 იანვარს დღის 3 საათზე **ალექსანდრე უშანგის-ძე გუნია** თემაზე: „ჩვეული და მოსალოდნელი მუცლის მოშლის მკურნალობის საკითხისათვის".
ოფიციალური ოპონენტები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. უხტიაშვილი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ლ. ელიაშვილი.
2. ა. წ. 26 იანვარს დღის 3 საათზე **ასტლიკ მათეს ასული კაგანჩევა** თემაზე: „К вопросу действия фитонцидов чеснока на микрофлору ран".
ოფიციალური ოპონენტები მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ე. ფიფია და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. მუხაძე.
3. ა. წ. 2 თებერვალს დღის 3 საათზე **მიხეილ ნიკოლოზის-ძე გუგულოვი** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Переливание крови в офтальмологии и комбинированное лечение перелитой кровью и пенициллином".
ოფიციალური ოპონენტები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი კ. ერისთავი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. ვარაზი და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. სიხარულიძე.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).


მეუღლე გრიგოლ, შვილები ქრისტეფორე, შარვაშა, სათო, შვილიშვილი რაფიკ, სიძე მიხეილ ჩიქოვანი შვილებით იუწყებიან ვარვარა ივანეს ასულ მეიტარჯიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 3 ს., სულხანიშვილის II ჩიხი № 6.

შვილები გრიშა, ციალა, ლუიზა, რძალი თინა, სიძეები ააშა ბურჭულაძე, დავით შარაშიძე, შვილიშვილები ლიანა, ნანული, ბეჟიკო, სვეტლანა, მალხაზ, რუსიკო იუწყებიან პიხტი გიორგის ასულ ცხომელიძე-ნაჭყებიას გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-I, 8 ს. გამოსვენება 12-I, 4 ს. ტელმანის ქ. № 17.

თბილისის ქალთა მე-13 საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან **მარიამ კონსტანტინეს ასულ ქარცივაძე-ფასეიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ეკატერინე, შვილი შალვა, რძალი მერი დემეტრაძეები, თიკო გრინიოვა იუწყებიან **ივანე ბართლომეს-ძე დემეტრაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I სოფელ ცხრაწყაროში (ზესტაფონის რაიონი).

ძმები სოსო, დავით, ვალოდია, დები ანიჩკა, ლიზა, რძლები სარა, ცაცა, თამარ, ნორა, მარო, სიძე გ. დოლიძე შვილებით იუწყებიან **გრიშა არტემის-ძე ხეფერთელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 2 ს. მიასნიკოვის ქ. № 59.

გოგონა, ანდრო, გივი, გენო ჩიქვინიძეები, ეთერ, კოლია ნაცვლიშვილები, ეთერ, სპარტაკ ჯეჯელავები, ქეთო, შოთა ნემსაძეები იუწყებიან ბიძას **მიტროფანე სიმონის-ძე ჩიქვინიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 2 ს. ორბელიანის ქ. № 10.

მეუღლე ოლია, შვილები არმენაკ, მარიამ, რძლები ლიდა, მარო, შვილიშვილები ლევან, გივი, მიშა, გოგიმერი, იდა, ნათელა იუწყებიან **გიორგი იოსების-ძე ხანგულოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 2½ ს. ქლუხორის ქ. № 5.

შვილიშვილები ლიანა, მარიანა კალანდარიშვილები, ცისანა, ნანული აბესაძეები, ბორის, გიორგი გამზარდიები, ვაჟა წულეისკირი, მზია, ბიჩია, ეთერ ჭანტურიები, გია ლოლაძე იუწყებიან **ანეტა ბესარიონის ასულ გამზარდიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 2 ს. ზასულიჩის ქ. № 31.

დეიდა თამარ, დეიდაშვილი სიმონ გამსახურდიები, ბიცოლა თამარ ყანჩაველი, ბიძაშვილი თინა ჯანელიძე, რძალი მარო, ძმისწული ანზორ ცისკარიძეები იუწყებიან **მიშა ცისკარიძის** გარდაცვალებას.

ქალთა მე-7 საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან **ციცინო მიხეილის ასულ ხარატიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ქრისტეფორე, შვილები ავთანდილ, ანიკო, თამარ, რძალი ნინო, სიძეები შ. დათიაშვილი, ბ. ბოგვერაძე, შვილიშვილები ჟუჟუნა, ზურაბ, ტარიელ, ფრიდონ, თინა, ნაზიკო, ნუნუ, ზაურ იუწყებიან **ჟენია კონსტანტინეს ასულ შელია-ბარბაქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-I ზესტაფონში.

შვილები ვიქტორ, ლენა, რძალი თამარ ბუთხუზი, სიძე ა. ეღენტი, მაზლები გრიშა, ევგრაფი, ირაკლი, რძლები ელიჩკა, უდიკა, პესია გამყრელიძეები, პელო, დონარა, ომარ ბუთხუზები იუწყებიან **მაშო დავითის ასულ შომახია-გამყრელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I ხრეითში (ჭიათურის რ.).

მეუღლე ბაბინე, შვილები ლუბა, ვერა, ცოლისდა ნატალია ცეცხლაძე, რძალი ვარდო გოლიაძე ოჯახებით იუწყებიან **თედორე ალექსანდრეს-ძე ერქომაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I ქობულეთში. გამოსვენება ბინიდან, ლენინის ქ. № 113.

„სოიუზპეჩატის" საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ექსპედიციის და „სოიუზპეჩატის" ქალაქის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **დიმიტრი ირაკლის-ძე შარაშიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე პეპიტო, შვილები ჟენია, მარგალიტა, ნიკოლოზ, შალვა, გუგული, უშანგი აიწურაძეები, სიძეები გ. დევიძე, გ. გელაშვილი, შვილიშვილები ნოდარ, გივი დევიძეები იუწყებიან **ისაკი ზაქარიას-ძე აიწურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-I, 3 ს. საკირეში (ბორჯომის რ.).

თბილისის № 47 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან ამავე საბავშვო ბაღის მასწავლებელ ა. შარაშიძის ძმის **დიმიტრი ირაკლის-ძე შარაშიძის** გარდაცვალებას.

შვილიშვილები ვანო, მერაბ, რძალი ოლია მუზაშვილი, მიშა ტაბლიაშვილი იუწყებიან **ალექსანდრა მაქსიმეს ასულ ზვიადაძე-მუნჯიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-I, 8 ს. გამოსვენება 10-I, 3 ს. ვახუშტის ქ. № 22.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის 3-81-84 მრეწველობისა და ტრანსპორტის პრესის მიმოხილვისა და სოფლის მეურნეობის — 3-20-43 კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83 ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24 განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 00905 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი"